# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 28 ივლისი, 2009 წელი.

№ 149 (6250)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## DUR SWEET UNCLE JOE

კეთილი ძია ② ჯო

## ევა გოცირიძე:



**ხელისუფლებისადმი ნდობის ③ დეფიციტი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა**

## შალვა ფიჩხაძე:



**④ მხოლოდ ამერიკელებს შეუძლიათ აიძულონ სააკაშვილის ხელისუფლება, ქვეყანაში რეალური დემოკრატიული რეფორმები გაატაროს**

## დაუბანელი კოკოითი და ცხვირმოუხოცავი სააკაშვილი





②

ტყუილის დიპლომატი, ანუ არაადეკვატური



⑦

## ხელისუფლებამ უთავობით ეკონომიკა დაააქცია

ქვეყანა მავნე და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციით გაივსო

## აშშ-ს აღარ სურს, იყოს დამოკიდებული იუშჩენკოსა და სააკაშვილზე

DW-WORLD.DE DEUTSCHE WELLE

⑧

## დასუსტებული რუსეთი ქედს მოიხრის ამერიკის წინაშე

THE WALL STREET JOURNAL

## „თბილწყალი“ მოვალეებს აყაჩაღებს?!

⑤

## მისტერ იორგ, გადასახადებით ნუ დაგვახრჩობთ!

## ოტია იოსელიანი:

④



**ამერიკის ძველი პრეზიდენტიც გვიჭერდა მხარს, მაგრამ რუსეთს ჩააბარეს ჩვენი ტერიტორიები**

„თბილისი ორად იყო გაყოფილი: დოდოს გალახულებად და დოდოს გასალახავებად“...



⑨

## „დაიცავი საქართველო“

სააკაშვილი იმდენად გაერთო ოპოზიციაზე თავისი მორიგი გამარჯვებით, რომ სურს მისი საბოლოოდ „გაფარჩაკება“ და ამ ჟესტით, არც მეტი და არც ნაკლები, უბრალოდ დასცინის მას, ანუ ეუბნება: თქვენ „ქუჩაში“ მეტი საქმე აღარ გაქვთ, თქვენი შესაძლებლობები საბოლოოდ ამოწურეთ და ეს ხელფასები და პენსიები მაინც არ დაკარგოთო. ③

საკვირაო მიმოხილვა

# DUR SWEET UNCLE JOE

**ამერიკელი სენატორი ჯოზეფ ბაიდენი პირველად შარშან აგვისტოში გვეწვია. სწორედ მაშინ, რუსული ბომბები თავზე ხოშკაკალასავით რომ გვაცვიოდა.**

**მეორედ გასულ კვირაში გვესტუმრა, ამ საბედისწერო მოვლენებიდან თერთმეტი თვის შემდეგ.**

**ამ თერთმეტ თვეში საქართველოს და მისტერ ჯოზეფ ბაიდენის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენ ნაცისტური დემოკრატიის ახალმა ტალღამ გადაგვიარა; ის კი ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი გახდა, უცვლელია მხოლოდ დიდი ამერიკის მხურვალე სიყვარული პატარა და უბადრუკი საქართველოსადმი!**



მისტერ ბაიდენის ვიზიტს წინ უძღოდა ამერიკის ძველი და ახალი ადმინისტრაციების ინტენსიური მუშაობა და საქართველოს კლდესავით უძრავი ხელისუფლებისა და მისი მეტისმეტად მოძრავი ოპოზიციის ასევე ინტენსიური მოგზაურობები მეგობარ ამერიკაში.

ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ვიცოდით, რომ ამერიკა მხარს უჭერდა საქართველოს, ქართველ ხალხს და საქართველოს ხელისუფლებას, მხარს უჭერდა კი არა, ჯერ კიდევ დემოკრატიის აკვანში ჩაკრული უსუსური მეგობრის კანონიერი უფლებების დასაცავად მზად იყო იმ აგრესორ რუსეთს ყელში სწვდომოდა.

თითქმის იგივეს გვიმეორებდა ოპოზიციაც, ერთადერთი უმნიშვნელო განსხვავებით – ტერმინი „ოპოზიცია“ ტერმინ „ხელისუფლების“ ნაცვლად.

მოკლედ, ქართული ხელისუფლებაც და ქართული ოპოზიციაც (უკლებლივ ყველას ვგულისხმობ! ჯერ კიდევ საპატიო სტუმრის ჩამოსვლამდე თავადაც დარწმუნებული ბრძანდებოდა და ჩვენც გვარწმუნებდა, რომ ამერიკის ადმინისტრაცია მხოლოდ მისი მომხრე და დამფასებელი იყო.

მისტერ ბაიდენის ვიზიტმა დაგვარწმუნა, რომ.. ...ორივე მხარე მართალი ყოფილა. ერთმა თქვა, ჩვენი მოლოდინები გამართლდა, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი დარწმუნდა, რომ საქართველო ნაცების წინამძღოლობით გიგანტური ნაბიჯებით მიდის ნათელი მომავლისკენო; მეორემ თქვა, ჩვენი მოლოდინები გამართლდა, როგორც იქნა, ამერიკელები დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილის წინამძღოლობით საქართველო უფსკრულისკენ მიექანებაო.

სხვათა შორის, მისტერ ბაიდენის სამშაბათ-ოთხშაბათის ნაუბრიდან ორივე ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება, გააჩნია, რას წავუყრუებთ. თანაც, ბატონი ვიცე-პრეზიდენტი ორმოცწლიანი სტაჟის მქონე უაღრესად გამოცდილი და მოქნილი პოლიტიკოსია. ჩვენი გაბაშვილივით არც დაუკრეფავში გადადის, არც ლობე-ყორეს ედება და არც სხვის ბოსტანში ისვრის კენჭებს, თუმცა მისი ნათქვამის გასაგებად მხოლოდ ინგლისურის კარგად ცოდნა არ არის საკმარისი, გამოცდილება, ჭკუა და სინდისია საჭირო.

იხ. 5 გვ.

ინფორმაცია

## არჩევანს თავად გააკეთებენ

**აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების „გადატვირთვის“ მიუხედავად, აშშ პოსტსაბჭოურ სივრცეზე გავლენის სფეროების შენარჩუნებას არ შეეგუება. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა.**

**— ნებისმიერ ქვეყანას აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც საბჭოთა კავშირის წევრი იყო, უკვე როგორც სუვერენულ სახელმწიფოს აქვს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება და თავად გადაწყვეტს რომელ ალიანსსა და ბლოკს შეუერთდეს, — განაცხადა ჰილარი კლინტონმა.**

## სად გაქრა გრიგოლ ვაშაძე?

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია მინისტრის გრიგოლ ვაშაძის გადაგომას არ ადასტურებენ.**

**როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ გამართულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ განაცხადა, გრიგოლ ვაშაძე თანამდებობიდან არ გადამდგარა და იგი ამჟამად შვებულებაში იმყოფება.**

**აღსანიშნავია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის გადაგომის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც მინისტრი აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტს არ დაესწრო.**

ჯი-ეიჩ-ენი

ახირება

**პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი საპარლამენტო საქმიანობის ნაწილობრივ ქუთაისში შესაძლო გადატანას „წინდაუხედავ ნაბიჯად“ და „ახირებად“ აფასებს.**

**— ინიციატივა საპარლამენტო საქმიანობის ქუთაისში გადატანის შესახებ არის წინდაუხედავი ნაბიჯი. მოსახლეობა უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა ჯდება ასეთი ახირება. დიახ, ეს მხოლოდ ახირება გახლავთ და არანაირი ლოგიკა არ დევს არც იმაში, რომ თითქოს ეს ქუთაისს მეტ სიცოცხლეს შესძენს და არც იმაში, რომ რადგან საპარლამენტო საქმიანობის ქუთაისში გადატანას ხელი 3 ათასმა კაცმა მოაწერა, ეს უნდა განხორციელდეს, — განაცხადა ცისკარიშვილმა, რომელსაც ძალიან აინტერესებს, რას იზამს ხელისუფლება, შემდეგ თვეში მესტიის რაიონის მოსახლეობამ 5 ათასი ხელმოწერა რომ შეაგროვოს.**

## რა დაჯდება ქუთაისში საპარლამენტო სესიების ჩატარება?

**ამასთან, პოლიტოლოგისთვის გაუგებარია რას ნიშნავს საპარლამენტო საქმიანობის თბილისში დატოვება, ქუთაისში კი მხოლოდ სესიების ჩატარება.**

**— წარმოგიდგენიათ, რამდენმა ადამიანმა უნდა იმოძრაოს წინ და უკან? თუ პარლამენტი ვერც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ თანხებს ვერ ითვისებს და ეძებს რაში დახარჯოს, ჰკითხონ ნებისმიერ გლეხს, რომელიც დარწმუნებული ვარ, პარლამენტის თავმჯდომარეს შესანიშნავ რჩევას მისცემს, როგორ მოიქცეს ზედმეტი თანხების განაწილების დროს, — განმარტავს ცისკარიშვილი.**

**პოლიტოლოგის შეფასებით, საპარლამენტო საქმიანობის ნაწილობრივ ქუთაისში გადატანის იდეა ხელისუფლებას იმის გამო გაუჩნდა, რომ „მოსახლეობისთვის რეალური შესათავაზებელი არაფერი აქვს.**

ჯი-ეიჩ-ენი

აი, მმართველნი!

# დაუბანელი კოკოითი და ცხვირმოუხოცავი სააკაშვილი

**ხომ გეუბნებოდით განდიდების და სიცრუის ბაცილით შეპყრობილო ნაციონალებო, თქვენს პრეზიდენტს ქცევის ელემენტარული ნორმები ასწავლეთ, თორემ საქვეყნოდ მოგვეჭრება თავი-მეთქი.**

გახსოვთ, 13 ივლისს, ლამის პირდაპირ დიდი რვიანის სამიტიდან, ნაბახუსევი დიმიტრი მედვედევი ცხინვალში რომ ჩავიდა ოსური ლუდის მისართმევად, ამერიკელების „გულის გასახეთქად“ და ქართველი ხალხის ნერვების მოსაშლელად, – სულ ფეხებზე მკიდიხართ, აქ ბატონ-პატრონი მე ვარო!

თეირანში ნაბუქოს (და არა ნაბუკოს!ძ პროექტის პრეზენტაციაზე არაფრისმაქნისი სტუმრის სტატუსით ჩასული მიხეილ სააკაშვილი ამ ფაქტმა კინაღამ გააგიჟა: ეს იყო რუსეთის ისტორიაში ყველაზე უზნეო და სამარცხვინო ვიზიტი, ამხელა სახელმწიფოს პრეზიდენტი, ჩემი ქვეყანაში არყოფნისას პოულობს დროს და მალულად მიიპარება საქართველოში, თანაც ვისთან, – დაუბანელ, კრიმინალ, კაცისმკვლელ კოკოითთანო!

გაბრაზდა კაცი. რუსეთის ლიდერებზე, ოს თუ აფხაზ სეპარატისტებზე, თვით ქართველ ხალხსა და ოპოზიციონერებზე ასჯერ უარესი არ უთქვამს თუ რა?!.. გასაკვირი ის იყო, რომ ჩვენმა სუპერობიექტურმა ტელევიზიებმა კოკოითის მრისხანე შემოპასუხება დაუმალეს ხალხს (რუსულ პრესასა და სამთავრობო საიტებზე „ვერ იპოვეს“ძ, თანაც, დაუბანელ კოკოითს ეკრანზევე ხომ არ შეასხამდნენ საპნიან წყალს სახის ჩამოსაბანად!

ჰოდა, ადგა ეს ჩვენი დაუბანელი ედვარდ კოკოითი, კარგა მაგრა ჩაიღიმ-ჩაიქირქილა და ერთმნიშვნელოვნად თქვა: ცხვირმოუხოცავმა სააკაშვილმა ჩემზე როგორ უნდა ილაპარაკოსო!

ქართველი ხალხისგან კოკოითი რისი ღირსიც არის, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ... ამ შემთხვევაში მართალი თქვა პუტინ-მედვედევისგან შეგულიანებულმა, რუსეთის იმპერიულ ჩექმას ლანჩასავით აკრულმა მანქურთმა პრეზიდენტმა.



...მაინც, რა გახდა ასეთი, ნაციონალებო! 2003 წლის ნოემბრიდან გამოთაყვანებული და დამფრთხალი რომ უსმენთ თქვენი პრეზიდენტის აბდაუბდა მონოლოგებს, ნუთუ იმის გამბედაობა არ გყოფნით, რომ... როცა მიშა საჩვენებელ თითს ცხვირისკენ (ხანდახან პირისკენაცძ წაიღებს, ყველამ ერთხმად შესძახოთ: **„სტოპ, ბატონო პრეზიდენტო, ცხვირსახოცი ამოიღეთ ჯიბიდან!!!**

ამით დიდ უბედურებას ავიცილებთ თავიდან – მიშაც გადაეჩვევა წარა-მარა ცხვირისა და დორბლის თითით (თითებითძ მოწმენდას და კოკოითისნაირი „პრეზიდენტებიც“ მასხრად ვერ აიგდებენ დაბეჩავებული ქვეყნის „სახეს და ღირსებას“...

– ეს ხომ წვრილმანია, ბატონებო, პრეზიდენტს საიმისოდ სად სცალია, წარამარა ცხვირსახოცი ამოიღოს ჯიბიდან, – შემომიბღვერენ ნაცმოძრაობის გამორჩეული აქტივისტები – გოკა გაბაშვილი, ეკა ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური, პეტრე ცისკარიშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი... მინაშვილები, ზოდელავები, ოჩიაურები...

წარამარაო, კაცო! ცხვირსახოციო, კაცო! სადა სცალიაო!..

– იგრემც ცხვირი დაგიმშვენდეთ... თქვენც ხომ ძალიან გრცხვენიათ, ცხვირმოუხოცავი პრეზიდენტი რომ გყავთ?

# ტყუილის დიდოსტატი, ანუ არაადეკვატური

**მსოფლიოში საუკეთესო, ევროპაში პირველი ქალაქების, შავიზღვისპირეთში ჯერარნახული, უზარმაზარი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების მშენებელი პრეზიდენტი წვიმიან და ნესტიან ბათუმს ხან პატარა სტამბოლს ეძახის, ხან – ბარსელონას, ხანაც – დუბაის.**

საწყალი ბათუმი და ბათუმელები, ქობულეთელები და გონიოელები, – ზედიზედ მესამე წელიწადია საკურორტო სეზონის ჩავარდნაზე წუწუნებენ და ლუკმაპურს ძლივსღა შოულობენ... ღმერთმა ქნას წლევანდელი აგვისტო მაინც იყოს მშრალი და მზიანი,რომ ცოტა სული მოითქვან. თუმცაღა, პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა „არ იცის“, რომ სულ ახალი სტატისტიკური მონაცემებით (ამის შესახებ ჩვენი გაზეთები უკვე წერდნენძ საქართველოს მოსახლეობის 64 პროცენტი დასასვენებლად იმიტომ ვერ მიდის, რომ ამის ფინანსური საშუალება არა აქვს. კიდევ ექვსმა პროცენტმა ისიც არ იცის, თავი რითი გაიტანოს და სხვაგან (მით უფრო ზღვისპირეთში) დასვენებაზე არც უფიქრია, ესეც ჩვენი 70 პროცენტი!.

მკითხველმა კარგად იცის, ვინ ისვენებს და ვინ გრიალებს საქართველოში და საზღვარგარეთ, ფეშენებელურ სასტუმროებსა და რესტორნებში. ესენი არიან ჩვენი ძვირფასი პარლამენტარები და მათი ოჯახის წევრები, სახელმწიფო სამსახურის მაღალხელფასიანი ჩინოვნიკები, – ზოგიერთ მათგანს 10 000, 12 000 ლარიც რომ აქვს ხელფასი! პრეზიდენტი კი ამაყად გაიძახის – კორუფცია მოვსპეთო. მინისტრობა, პარლამენტარობა, სხვადასხვა მარეგულირებელი კომისიის წევრობა,



ერთი სიტყვით, ელიტაში ყოფნა, სახელმწიფოსგან ნებადართულ, აშკარა კორუფციას ნიშნავს. თვითონ რომ კარგად ცხოვრობენ, ჰგონიათ თითქმის ყველა ასეა და უაზროდ აბრახუნებენ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს – მარტო აჭარის შავიზღვისპირეთში 4 მილიონი ტურისტი ჩამოვა და ავშენდებითო! მალე სვანეთიც ტურიზმის ცენტრი გახდებაო!

თვით აჭარლები, საქმეში ჩახედული ტუროპერატორებიც კი გვიმტკიცებენ, რომ უახლოეს წლებში ეს რიცხვი 200 000-ს გადააჭარბებს, 5-10 წლის შემდეგ, შესაძლოა, 500 000-ს მიაღწიოს, 4 მილიონზე ოცნება კი ლამაზ ზღაპარს ჰგავსო!

რაც შეეხება სვანეთის ტურისტულ ცენტრად გადაქცევას, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

პრეზიდენტი კი „აშენებს და აშენებს“ მსოფლიოში ყველაზე მაგარ სასტუმროებს, გზებს, ფაბრიკა-ქარხნებს... თანაც, ფაბრიკა-ქარხნებს ერთ დღეს გახსნის, მეორე დღეს დახურავს!

რა ენაღვლება, ენას ძვალი აქვს თუ ვინმე გაუბედავს შეკამათებას?

ჯერ კიდევ უკვირთ (იმედია, მალე ასე აღარ იქნებაძ ჩვენს აღმშენებელ ნაციონალებს და მიშას მხარდამჭერებს, რატომ ეძახიან ასეთ ძლიერ პრეზიდენტს არაადეკვატურს!

ისე, რა ცუდი სიტყვაა – არაადეკვატური! – ტყუილის დიდოსტატი არ სჯობს? ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერი პოლიტიკა, ყოველგვარ სიბინძურესთან ერთად, ხომ სიცრუის ხელოვნებაც იყო? რაღა მიშა იქნებოდა გამონაკლისი?

**სპარტაკ ქობულია**

◎ „დათვი ხეზე როგორ გავა, იავ-ნანინაო“...

# „დაიცავი საქართველო“

**ძვირფასო მკითხველო, სათაურიდან გამომდინარე, ძალიან გთხოვ არ იფიქრო, რომ იმ ახლად დაარსებული ე.წ. „აპოლიტიკური“ და ამავე დროს ე.წ „საზოგადოებრივი მოძრაობის“ პოპულარიზაციას ვახდენდე.**

არავითარ შემთხვევაში.

იმათ (ანუ იმ საზოგადოებრივი მოძრაობის წევრებსძ, მეც რომ არ დავემატო, უჩემოდაც ეყოფათ თავიანთი პრობლემები (არადა პრობლემები ნამდვილად უამრავი აქვთძ.

უბრალოდ მინდა შემოგთავაზოთ იმ საკითხთა მცირე განხილვა, რომელთა წარმატებით გადაჭრა, ნამდვილად დაიცავს საქართველოს.

დაიცავს იმ ყოვლად არაქართული, არაცივილიზებული, არადემოკრატიული და არანორმალური პროცესებისგან, რომლებსაც ხელისუფლებისგან დაწყებული, ამ პოლიტიკანებით დამთავრებული, ვისაც არ ეზარება, ყველა რომ გვთავაზობს.

რადგანაც იმ ხალხში, „რომლებსაც შემოთავაზებები და ე.წ. ანალიზი არ ეზარებათ“, ამ ბოლო დროს მომრავლებულ „ექსპერტებსაც“ ვგულისხმობ (რა მაგის პასუხია და რამდენი „პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური ექსპერტი“ რომ გვყავს (თან ინგლისურის და კომპიუტერის მცოდნეძ, იმდენი მშრომელი და საქმის გამკეთებელი ადამიანი რომ გვყავდეს, რა გვიჭირდა მაშინძ.

რადგანაც, ამ ჩვენი ხელისუფლების, პოლიტიკანებისა და „ექსპერტების“ მიერ გაკეთებული განცხადებები და კომენტარები (არადა „კოხორას“ კომენტარი ხშირ შემთხვევაში გაცილებით სჯობს მათ კომენტარებსძ, ძალიან მაგონებს ლუარსაბ თათქარიძის სახლში, ფანჯრებზე, მინის ნაცვლად აკრულ, გაქონილ ქაღალდზე ამოკაწრულ წარწერებს: „დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო“ და „ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა სჯობიაო“.

ჯერჯეროზით არ გავაკეთებ „დათვის“ „რუსეთთან და ევროკავშირს იმ „ხესთან“ შედარებას, რომლის „ჩეროში“ ძალიან გვინდა წამოწოლა, მაგრამ, ვერა და ვერ ვეღირსეთ. არც „ცუდად ჯდომასა“ და „ცუდად შრომას“ შორის გავავლებ პარალელებს. ამის დროც მოვა“.

ჰოდა სწორედ ამის გამო გადავწყვიტე, რომ შემოგთავაზოთ „პოლიტიკური ნოველების“, ან თუ გნებავთ „ჩანახატების“ ციკლი, რომლებშიც შევეცდები ყოველგვარი „ბრტყელ-ბრტყელი“ სიტყვების გარეშე, გადმოგცეთ ყველა იმ საკითხის მოკლე მიმოხილვა, რომლებიც ყველა ჩვენგანისთვის სასიცოცხლოდ საჭირბოროტოა.

ამ „ნოველებში“ არ იქნება არც ჩიტების ჭიკჭიკი, არც ნაკადულის ჩხრიალი და არც ზღვის ნაპირას მჯდარი, ჩამავალი მზის სხივებში გახვეული შეყვარებულების ჩურჩული.

სამაგიეროდ მრავლად იქნება ახალი „საკანონმდებლო“ ინიციატივები, ბრძოლის ახალი სტრატეგიები და რეფორმების მიმდინარეობის შუქ-ჩრდილები.

თუ შემთხვევით აღმოჩნდა, რომ ჩემს მიერ გაკეთებული „ჩანახატების“ ციკლში, მთავარი ადგილი, ხელისუფლებას ეთმობა, არ გაგიკვირდეთ და ჩემს თავისუფლების ხარისხში ეჭვი არ შეიტანოთ. ეს იმ უმარტივესი მიზეზის გამო მოხდება, რომ გინდა, არ გინდა, მათი „საქმიანობა“ მაინც „ხელის გულზე დევს“ და ჯერჯეროზით მათს თავებში „აღმოცენებული იდეები“ უფრო „აქტიურად“ გვიშლის ნორმალურად ცხოვრებას, ვიდრე „სხვა თავებში“ არსებული, მაგრამ „მხოლოდ „ჩანასახში“ მყოფი იდეები.

მაშ ასე, გთავაზობთ „ციკლის“ პირველ „ნოველას“.

### ნოველა პირველი: კანონი, რომელიც უნდა დავიცვათ, ანუ „კანონი კანონია“.

მკითხველთა უმრავლესობას ახსოვს უზრწყინვალესი იტალიური ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს ტოტო და ფერნანდელი ასრულებენ.

ამ ფილმის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფალთა მიერ მიღებულ უაზრო კანონებს, ხშირად შეუძლიათ შეცვალონ ჩვეულებრივ ადამიანთა ცხოვრება.

ვერ გეტყვით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს ხელისუფალთ იტალიურ კინოსთან, მაგრამ იმას კი დანამდვილებით ვიტყვი, რომ მათ მიერ მიღებული და მისაღები კანონების უმრავლესობა, ოდნავ უფრო უაზროა, ვიდრე ყვითელი პრესის ბოლო გვერდებზე გამოქვეყნებული სხვადასხვა სულელური კანონი.

ორშაბათს, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მთავრობისგან შევიდა ორი კანონპროექტი, რომლებსაც „კონვეიერული“ მეთოდით მომუშავე ჩვენი პარლამენტი ამ დღეებში დაამტკიცებს.

კონსტიტუციის ერთჯერად ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც დეპუტატობაზე „უარნათქვამი პოლიტიკოსებისთვის“, 2500-ლარიანი ხელფასებისა და მომავალში „მსუქანი“ პენსიის დანიშვნას უფრო ეხება, ვიდრე კანონშემოქმედებით მუშაობაში „გამოცოცხლების“ შეტანას, ერთი კითხვა გამიჩნდა:

**რატომ აკეთებს სააკაშვილი ამ საკონსტიტუციო ცვლილებას?**

ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი „წამოტივტივდა“.

1. სააკაშვილი იმდენად გაერთო ოპოზიციაზე თავისი მორიგი გამარჯვებით, რომ სურს მისი საბოლოოდ „გაფარჩაკება“ და ამ ჟესტით, არც მეტი და არც ნაკლები, უბრალოდ დასცინის მას, ანუ ეუბნება: თქვენ „ქუჩაში“ მეტი საქმე აღარ გაქვთ, თქვენი შესაძლებლობები საბოლოოდ ამოწურეთ და ეს ხელფასები და პენსიები მაინც არ დაკარგოთო.

2. კიდევ ერთხელ სურს გვაჩვენოს, რომ „კანონი, ეს სააკაშვილია“.

3. სრულიად მოსალოდნელია, რომ რომელიმე „მანდატ-დამჭრელთან“ ჰქონდეს გარკვეული გარიგება დადებული.

არ გამიკვირდება, რომ სამივე პასუხი მართალი იყოს.

მოკლედ, რომ ვთქვა, ასეა, თუ ისე, ეს მორიგი საკონსტიტუციო ცვლილება, მალე შემოვა მოდაში, უჴ, უკაცრავად, მალე შევა ძალაში. მერე რა, რომ ცვლილება დროებითია. მთავარია, რომ „დროებითი ცვლილებებიც შესაძლებელია“.

ისე, რაღაც ძალიან „გვაჩვევენ“ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს და უცებ „რაღაც ვადების რაოდენობის გაზრდაზე“ ან „პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებაზე“ და „პრემიერ-მინისტრის“ პოსტის გაძლიერებაზე რომ წავიდეს „ლაპარაკი“, არ გაგიკვირდეთ.

არადა, კანონი კანონია და „ქვეყანაც რომ დაიქცეს, კანონი მაინც უნდა შესრულდეს“.

დაიცავით კანონები, მოქალაქეებო!

### ნოველა მეორე დასაცავი ტელევიზია:

არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ დღეს საქართველოში არც ერთი ტელევიზია არ ვარგა.

იმედია მიხვდით, რომ არც ტელეკომპანიების შენობებზე და არც მათს განკარგულებაში მყოფ აპარატურაზე არ ვლაპარაკობ.

მე იმ პროდუქციაზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რომლებიც იმ შენობებში, იმ აპარატურებით „იქმნება“.

რადგანაც ტელევიზიების სავალალო მდგომარეობის შესახებ, არამც თუ ნოველის, რომანის დაწერაც შეიძლება, ამიტომ დღეს მხოლოდ რამდენიმე საინტერესო საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას.

ერთი „ძალიან მაგარი“ სარეკლამო რგოლი გადის სახელისუფლებო ტელევიზიებში. ეს რგოლი ქართული სასამართლოს „პირუთვნელობასა“ და „მიუკერძოებლობას“ ეხება.

სარეკლამო რგოლის სიუჟეტში ნაჩვენებია ბიზნესმენი, რომელსაც სახელმწიფოსთან შეექმნა პრობლემა (ეს ნამდვილად არ არის გასაკვირიძ და რომელმაც ამ დავის გადასაწყვეტად სასამართლოს მიმართა.

სასამართლომ გამოიტანა კანონიერი გადაწყვეტილება და დავა ბიზნესმენის სასარგებლოდ გადაწყდა.

ერთის შეხედვით, ამ სიუჟეტში არაფერია უჩვეო და მიუღებელი. ბუნებრივია, რომ სასამართლომ კანონიერი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, მაგრამ სასაცილოა (სატირალი რომ არ იყოსძ, სიუჟეტის განვითარება და მისი კულმინაცია.

მთელი სარეკლამო რგოლის განმავლობაში, ბიზნესმენი იმეორებს, რომ არავის არ სჯეროდა იმისა, რომ სასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებას გამოიტანდა და მას შემდეგ, როდესაც ეს გადაწყვეტილება გამოცხადდა, ყველამ დაიჩოქა და ისე გამოხატა თავისი აღფრთოვანება.

**ბატონებო, ეს რეკლამა კი არა, ანტირეკლამაა.**

ეს არის დღევანდელი ქართული სასამართლოს ნამდვილი სახე.

გნებავთ აგიხსნათ? კი ბატონო:

დაზარალებულებს, იმდენად არ სჯერათ იმ რეფორმირებული სასამართლო სისტემის, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება სასწაულად ჩათვალეს.

ამ სარეკლამო რგოლიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლო რეფორმა, რევოლუციამდელი იუსტიციის მინისტრის მიერ, კრწანისის სასამართლოს შენობის შელებვით შემოიფარგლა.

ახლა ვინმე მკითხავს: კი მაგრამ ტელევიზია რა შუაშიაო?

შუაში კი არა, თავშია.

ეს რაც მე ვთქვი, ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებს უნდა ეთქვათ, იმ დაწესებულების ხელმძღვანელისთვის, ვინც ეს რეკლამა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით დაამზადებინა და ბიუჯეტისავე თანხები გადაიხადა სარეკლამო დროის საყიდლად.

**ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები კი ჩვენი ფულია ძვირფასო მკითხველო, ჩვენი ფული.**

ძალიან „მაგარი“ იყო „კურიერის“ საკვირაო სიუჟეტები (ამ შემთხვევაში „რუსთავი 2“-ის „კურიერი“ მაქვს მხედველობაშიძ.

როგორც აღმოჩნდა, ქართველი ინტელექტუალები ბათუმში დამარცხდნენ, და გამარჯვება უკვე მეხუთედ, აზერბაიჯანის გუნდს ხვდა წილად. სამაგიეროდ, თავზე ბეტონის ფილის გადამტვრევაში ვყოფილვართ მაგრები. ასევე ერთი მეტად „სასიხარულო“ ინფორმაციაც გვამცნეს: თურმე, ზაიკერთა შეჯიბრში „კლაბშოუელ“ ნიკა გრიგოლიას მოუპოვებია ჟიურის „სიმპათიის პრიზი“ (ხომ წარმოგიდგენიათ ან იმ ჟიურის გემოვნება, ან იმ შეჯიბრის დანარჩენი მონაწილენიძ.

ბევრს აღარ გავაგრძელებ, რადგანაც ტელეეკრანებზე გასული ყველა სისულელის „აღსაწერად“ არც ფურცლები მეყოფა და არც ნერვები.

ამიტომ ნაჩქარევად დაგემშვიდობებით და სხვა „ნოველების“ დასაწერად წავალ.

დარწმუნებული ვარ, რომ თემები გამოულევლად მექნება.

**გია გაბრიჭიძე**

◎ ექსპერტის აზრი

# ევა გოცირიძე: ხელისუფლებისადმი ნდობის დეფიციტი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა



***ჟურნალისტთა უფლებებზე, მედიასივრცეში და ზოგადად, საქართველოში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებზე გვესაუბრება საერთაშორისო სამართლის დოქტორი ევა გოცირიძე:***

***— მედია, ჟურნალისტები არა მარტო უნდა იყვნენ ობიექტურად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი, არამედ, უნდა ჰქონდეთ ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შეგრძნება. ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ თავიანთი პროფესიული მოვალეობის პატიოსნად შესრულების გამო არ დაექვემდებარებიან არავის, მით უმეტეს, ხელისუფლების მხრიდან დევნასა და შევიწროებას. ხელისუფლებას მარტო ის კი არ ევალება, არ ჩაერიოს ჟურნალისტთა საქმიანობაში, არამედ ისიც, რომ საამისოდ ყველა პირობა შექმნას და უზრუნველყოს მედიის თავისუფლება. ხალხის ინტერესების შესაბამისად მოქმედი ხელისუფლება, წესით, დაინტერესებული უნდა იყოს, რომ მედიამ შეასრულოს ის სრულიად განსაკუთრებული როლი, რომელიც მას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეკისრება, — ამბობს ქალბატონი ევა.***

**— რას გულისხმობთ ამ „როლში“?**

— ეს არის საზოგადოების „მოდარაჯე ნაგაზის“ როლი. მედია ვალდებულია, საასპარეზოზე გამოიტანოს ყველა პრობლემა, რომელიც საზოგადოებას აწუხებს და ხელი შეუწყოს საჯარო დებატებს მედიის საშუალებებში. ის ვალდებულია, მოიპოვოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოების საჭირბოროტო საკითხებზე. თავისთავად, ეს „როლი“ კი წარმოსდგება ხალხის უფლებიდან, იყოს ინფორმირებული — მიიღოს ინფორმაცია, საზოგადოებაში გამოთქმული ყველა იდეა, შეხედულება, რაც კი მისი ინტერესის საგანი შეიძლება იყოს. უამისოდ მას არ ექნება შესაძლებლობა, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გააკეთოს სწორი არჩევანი. მას უფლება აქვს, ყველაფერი იცოდეს. ამიტომ, როდესაც ესა თუ ის ინფორმაცია იბლოკება, არასწორად, არასრულყოფილად, ცალმხრივად გადაეცემა, ამით ხალხს იმავდროულად ელახება სამართლიან არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც. დიახ, თავისუფალი არჩევანის უფლების დარღვევა მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენების გაყალბებით როდი გამოიხატება. როდესაც პოლიტიკურ პარტიებს თანაბარი ხელმისაწვდომობა არა აქვთ მედიაზე (მით უფრო — ტელემედიაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მისი უშუალო და ძლიერი გავლენის გათვალისწინებითძ, განსაკუთრებით კი — წინასაარჩევნო პერიოდში, საზოგადოებას ერთმევა შესაძლებლობა, სწორი აზრი შეიმუშაოს საზოგადოებრივ პროლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, ხელისუფლებისა თუ ცალკეულ პოლიტიკოსთა ქმედებებზე. ამით კი ფაქტობრივად ერთმევა სწორი, ობიექტურ საფუძველზე დაყრდნობილი, საკუთარი არჩევანის შესაძლებლობა. ის მოტყუებულია.

**— რაც მოხდა კიდეც. წინა არჩევნებზე ოპოზიცია არათანაბრად განაწილებულ საეთერო დროზე გამოთქვამდა პრეტენზიას.**

— დიახ, ამან იმთავითვე წარმოშვა ეჭვები პარლამენტის ლეგიტიმურობის მიმართ, და საბოლოო ჯამში, ხელისუფლებისადმი ნდობას დიდი ზიანი მიაყენა. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებისადმი ნდობის დეფიციტი (ამ და უამრავ სხვა მიზეზთა გამოძ ერთ-ერთი ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში, ხოლო ნდობის აღდგენა — ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი.

**— თქვენი აზრით, რამდენად შეუწყობს ხელს ხელისუფლებისადმი ნდობის ამაღლებას შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის გამკაცრება?**

— ვფიქრობ, რომ არ შეუწყობს. პირიქით. ჯერ ერთი, კანონით გათვალისწინებული სანქციები ექსცესიურია. მართალია, ხელისუფლებას უფლება აქვს გონივრულ ფარგლებში მოაქციოს უფლებათა შინაარსობრივი ფარგლები, რათა უფლებათა განხორციელებამ გაუმართლებელი ზიანი არ მიაყენოს სხვა კანონიერ ინტერესებს, ანდა არ გადაიზარდოს უფლებათა ბოროტად გამოყენებაში, მაგრამ შეზღუდვები არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებას თავის ძირითად არსს გამოაცლის. ეს თავისუფლება, მართალია ცალკე უფლებად განიხილება, მაგრამ იგი გამოხატვის თავისუფლებას ეყრდნობა. მიტინგებს, მანიფესტაციებს ადამიანები, როგორც წესი, თავიანთი შეხედულებების, თავიანთი პროტესტისა და მოთხოვნების ერთობლივად და საჯაროდ გამოსახატავად მიმართვენ და ჩვეულებრივ, ძალზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემებს უკავშირდება. ეს მაშინ ხდება, როდესაც ადამიანებს არ აკმაყოფილებთ თავიანთი აზრის დაფიქსირება ინდივიდუალური წესით, პრესით, რადიოთი და თუნდაც ტელევიზიით და მიმართავენ ასეთ კოლექტიურ ფორმას. სამთვიანი ადმინისტაციული პატიმრობის დაწესებით, ვფიქრობ, ხელისუფლება მიზნად იმას ისახავს, რომ ხანგრძლივად ჩამოაშოროს საზოგადოებრივი აქტიურობის შესაძლებლობებს ადამიანები, რომლებიც მას პრობლემას უქმნიან.

იხ. 6 გვ.

თვალსაზრისი



„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა პოლიტოლოგ შალვა ფიჩხაძეს

# მხოლოდ ამერიკელებს შეუძლიათ აიძულონ სააკაშვილის ხელისუფლება ქვეყანაში რეალური დემოკრატიული რეფორმები გაატარონ

**— ბატონო შალვა, არავინ უარყოფს, რომ ბაიდენის ვიზიტი აშშ-ს მხრიდან საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული და სუვერენული სახელმწიფოებრიობის მხარდაჭერა იყო, მაგრამ, ბევრის შეფასებით, იმავე ვიზიტმა ხელისუფლება ქვეყანაში შექმნილი ჩიხიდან გამოიყვანა...**

— არა მგონია, რომ ბაიდენის ვიზიტს გამოეყვანა ვითარება ჩიხიდან, რადგანაც ბაიდენის ვიზიტამდეც ოპოზიციური პროტესტის ტალღა მინელდა. ჩიხიდან ხელისუფლება უკვე გამოდიოდა. ასე რომ, ჩემი აზრით, ბაიდენის ვიზიტი ხელისუფლებას ჩიხის დაძლევაში არ დახმარებია. თუმცა, ბაიდენის ვიზიტი მხარდაჭერა იყო საქართველოს ხელისუფლების საგარეო კურსის და, ირიბად, რა თქმა უნდა, დღევანდელი ხელისუფლებისაც.

თბილისში ვიზიტისას ბაიდენმა ძირითადად ორ რამეზე, პირველი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაზე, სუვერენიტეტის მხარდაჭერზე და იმაზე ილაპარაკა, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობაში გასაცვლელი კარტი არ იქნება, და მეორე — ქვეყანაში გადასადგმელია დემოკრატიისკენ მიმავალი ნაბიჯები. პარლამენტში თავისი შესანიშნავი გამოსვლით მან კონკრეტულად ჩამოთვალა, თუ რა ნაბიჯებია გადასადგმელი. ბაიდენის მიერ გაკეთებული განცხადებებით ძალიან კმაყოფილი ვარ, ვინაიდან ორივე საკითხი, რომელზეც მან გაამახვილა ყურადღება, ძალიან მნიშვნელოვანია.

**— თქვენი აზრით, როგორ იმოქმედებს შიდაპოლიტიკურ პროცესებზე ბაიდენის ვიზიტი?**

— საერთოდ, საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაზე უცხოური ფაქტორი ძალიან დიდია. ასე იმიტომ არის, რომ საქართველო უცხოეთზე ძალიან არის დამოკიდებული, ეკონომიკურად, პოლიტიკურად და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. როცა უცხოეთზე ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებს ვგულისხმობ, ვინაიდან დამოკიდებულების და მხარდაჭერის ლომის წილი, სწორედ მასზე მოდის. ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო და ამერიკის გარდა, ჩვენს ქომაგსა და დამცველში, სხვა შემცვლელი არავინ არ ჩანს.

როგორ განვითარდება შიდაპოლიტიკური პროცესები ბაიდენის ვიზიტის შემდეგ, ძნელი სავარაუდო არ არის. იკვეთება ოპოზიციურ ლიდერთა ჯგუფი, რომელსაც, თუ გონივრულად გამოიყენებს იმ რესურსს, რომელიც გააჩნია, აქვს შანსი, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს და 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნებს ძალიან კარგად მომზადებული შეხვდეს. მაგრამ, რამდენად დემოკრატიული იქნება საარჩევნო გარემო, რამდენად ექნება აზრი არჩევნებში მათ მონაწილეობას, ამაში უცხოეთის როლი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. თავისი ნებით ნაციონალური მოძრაობა არაფერს არ შეცვლის და არჩევნებში ციფრებს ისევე დაიწერს, როგორც ეს 2008 წელს გააკეთა. ოპოზიციის ლიდერებმა მხარდაჭერა ხალხში თავად უნდა მოიპოვონ და გამოიკვეთოს ლიდერი, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების ალტერნატივა იქნება. ოპოზიციაზე რომ ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ოპოზიცია ერთიანი არ არის და დადგება დრო, როცა ოპოზიციის ლიდერებს შორის მეტოქეობა დაიწყება და ისინი ერთმანეთის კონკურენტები გახდებიან.

**— აშშ-მ საქართველოში მისთვის სასურველი პოლიტიკური პარტნიორები გამოკვეთა, მაგრამ ოპოზიციის ის ნაწილი, რომელთანაც ბაიდენმა შეხვედრა არ ისურვა, არ არის ანგარიშგასაწევი ძალა თუ, როგორ უნდა ჩავთვალოთ?**

— ისინი არ არიან ის ძალები, რომლებიც ამერიკას სურს თავის პარტნიორებად. როგორც საქართველოს აქვს უფლება, აირჩიოს თავისი პარტნიორები მსოფლიოში, ისე ამერიკას აქვს უფლება, აირჩიოს თავისი შესაძლო პარტნიორები საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში. იგი არ არის ვალდებული, ყველა პარტნიორად ჰყავდეს, ზოგი მას მოსწონს, ზოგი არა.

ის ხომ არ ამბობს, აირჩიეთ გაჩეჩილაძე და არ აირჩიოთ ნათელაშვილი. ის ამბობს, რომ მას პარტნიორად მიაჩნია ალასანია, ბურჯანაძე, არ ვიცი გაჩეჩილაძე მიაჩნია თუ არა პარტნიორად. მაგრამ თუ ქართველი ხალხის არჩევანი იქნება ისეთი ძალა, რომელიც ამერიკის პარტნიორად არ იკვეთება, შტატები კონტაქტს მასთანაც დაამყარებენ.

**— არსებულ რეალობაში რა შანსები აქვს ოპოზიციას, რომ სააკაშვილის ალტერნატიულ ძალად ჩამოყალიბდეს როგორც ორგანიზაციულად, ასევე პროგრამის თვალსაზრისით?**

— პოლიტიკური პროგრამა სერიოზულ პოლიტიკურ ძალას აუცილებლად უნდა ჰქონდეს, მაგრამ ქართულ რეალობაში პროგრამას გადაჭარბებულ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი. აქამდე საქართველოში კარგ პროგრამას და საზოგადოებისთვის წარდგენას არავითარი შედეგია არ ჰქონია. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კარგი პროგრამა ჰქონდათ ლეიბორისტთა ლიდერს ნათელაშვილს და ახალი მემარჯვენეების ლიდერს გამყრელიძეს, მაგრამ ერთმა 7 პროცენტი მიიღო და მეორემ 8 პროცენტი. პროგრამა ჰქონდა რესპუბლიკელებს საპარლამენტო არჩევნებზე და მიიღეს 4 პროცენტი. საქართველოში ამომრჩეველი პროგრამის მიხედვით არ ირჩევს. ხალხი პოპულარულ ადამიანებს ირჩევს. ამერიკა ვერ შეძლებდა სააკაშვილის გაპრეზიდენტებას, რომ მას ხალხის მხარდაჭერა არ ჰქონოდა.

ოპოზიციამ ქვეყანაში კონკურენტული პოლიტიკური გარემოს შექმნისთვის უნდა იბრძოლოს. ამ პროცესში ოპოზიციამ უცხოეთი აუცილებლად უნდა ჩართოს. უცხოეთის ჩაურევლად სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა არავითარი კონკურენტული გარემოს შექმნას არ დაუშვებენ. იქნება ისევ ფასადი, არჩევნებში დანიშნული ოპოზიციის მონაწილეობა და დემოკრატიულობის ანტურაჟი.

ოპოზიცია უნდა შეეცადოს ხალხში საკუთარი რეიტინგის ამაღლებას, რაც საზოგადოებასთან მუშაობას გულისხმობს. თუ ოპოზიციურ ძალებს არ ექნათ ტელევიზია, პოლიტიკურ ბრძოლაში მათ ძალიან გაუჭირდებათ. უტელევიზიოდაც შეიძლება წარმატების მიღწევა, მაგრამ, ვითარებაში, როცა სამივე სახელისუფლებო ნაციონალური ტელევიზია ოპოზიციის წინააღმდეგ გაშმაგებულ შეტევაზეა გადასული, ამის გაკეთება ძნელად წარმომიდგენია.

**— ბაიდენის ვიზიტის შემდეგ უნდა ველოდოთ მეტ დემოკრატიას, პლურალიზმს, სამართლიანობას, თუ ხელისუფლება ბაიდენის ვიზიტს კარტ-ბლანშად განიხილავს და პოლიტიკურ პრაქტიკაში ცვლილებებს არ შეიტანს?**

— უფრო მეორე. თუ ამერიკელებმა არ აიძულეს ხელისუფლება, რომ დემოკრატიისკენ ნაბიჯები გადადგას, ბაიდენის მხოლოდ ვიზიტი ქვეყანაში აბსოლუტურად არაფერს არ შეცვლის და ყველაფერი ისევ ისე დარჩება, როგორც აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტამდე იყო.



ბაიდენის სიტყვებს დემოკრატიის მხარდაჭერის შესახებ ამერიკელების მხრიდან კონკრეტული საქმე უნდა მოჰყვეს. ამერიკელებს, და არა ევროპელებს აქვთ სააკაშვილის ხელისუფლებაზე მოქმედების რეალური ბერკეტი. ამდენად, მხოლოდ ამერიკელებს შეუძლაით აიძულონ სააკაშვილის ხელისუფლება ქვეყანაში რეალური დემოკრატიული რეფორმების გატარება. ისე, ნაცმოძრაობა და ხელისუფლება საერთოდ არანაირ დათმობაზე და დემოკრატიული რეფორმების გატარებაზე არ წავა.

**კობა ბენდელიანი**

„გვიშტიბელი ბოკაჩოს“ აზრით

# ოტია იოსელიანი: ამერიკის ძველი პრეზიდენტიც გვიჭერდა მხარს, მაგრამ რუსეთს ჩააბარეს ჩვენი ტერიტორიები



***საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტი, მისი ემოციური გამოსვლა ქვეყნის პარლამენტში ქართულ საზოგადოებაში კვლავ აქტუალურ თემად რჩება. შეფასებები უკვე გაკეთდა პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში და ამ ვიზიტისგან მოლოდინი თითქმის ერთია — აშშ კვლავ გააგრძელებს საქართველოს მრავალმხრივ მხარდაჭერას და დაეხმარება უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში.***

***ამასთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ცნობილ მწერალს ოტია იოსელიანს ესაუბრა.***

**— ბატონო ოტია, საქართველოში აშშ ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტს პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მხრიდან ფართო გამოხმაურება მოჰყვა. საინტერესოა თქვენი, ცნობილი მწერლის შეფასება. თქვენი აზრით, რა შედეგის მომტანი იქნება მისი ვიზიტი საქართველოსთვის?**

— მე ახლა შორიდან ვადევნებ ყველაფერს თვალყურს და ძალიან ძნელია აქედან ლაპარაკი. არ ვიცი, რა იყო იქ განსაკუთრებული. ვაღიარებო საქართველოს დამოუკიდებლობასო და მთლიანობასო, სხვა ისეთი ახალი არაფერი არ უთქვამს.

**— მაგრამ ზესახელმწიფოს მხრიდან ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღიარების ხაზგასმა, დამეთანხმებით, მნიშვნელოვანია.**

— როდის იყო ამერიკა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებდა? ყოველთვის აღიარებდა და აღიარებს ახლაც, მაგრამ ომი როცა გვქონდა, ხელი არ გაუნძრევიათ. აღიარეთ, კი ბატონო, სულ ერთია ახლა ჩვენთვის. ძველი პრეზიდენტი არ გვიჭერდა მხარს, არ ჩამოვიდა ის კაცი? მაგრამ რუსეთს ჩააბარეს ჩვენი ტერიტორიები. რაც შეეხება გრანტების გამოყოფას, არ ვიცი სესხია თუ საჩუქარი. მე ვიცი, რომ არავინ არაფერს ტყუილად არ ჩუქნის. მე უფასო ხაფანგში ყველი ვიცი.

**— თქვენი აზრით, შიდა პოლიტიკურ პროცესებზე თუ მოახდენს რაიმე გავლენას ბაიდენის ეს ვიზიტი? როგორც არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა მასთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნეს, ამერიკა საქართველოს შიდა საკითხებში ჩარევას არ აპირებს.**

— თვითონ ბაიდენი კარგი დიპლომატი ჩანს. თუ ჩვენმა ოპოზიციამ ანგარიში ჩააბარა, რაც ჩვენში ხდება, როგორც ისინი ამბობენ, არა მგონია, მას ჩვენი დემოკრატია ჩაეთვალა დემოკრატიად.

## ვაი ამ ყოფას!

***მართალი** გითხრათ, დიდი მოუხელთებელი ვინმე ყოფილა ეს დემოკრატია. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ძალიან ეცადა, საქართველოში ვიზიტისას მისი განუმეორებელი გემო და სურნელი ჩვენთვისაც დაეჭაშნიკებინა, მაგრამ ის (დემოკრატია) ბატონ სააკაშვილს, ეტყობა, ისეთ ცხრაკლიტულში ჰყავდა გადამალული (ალბათ, მილიარდნაჭამ პრეზიდენტის სასახლეში), რომ თვით დიდი გამოცდილებისა და განსწავლულობის მქონე ოკეანისგაღმელ პოლიტიკოსსაც კი ძალიან გაუჭირდა ამის ქმნა. რაც შეეხება ეკონომიკას, ის საერთოდ არ გაგვაჩნია და გემოს საიდან გავუსინჯავდით. რაც კი გვებადა ამქვეყნად, ჩვენი ქარიხვეტია ხელისუფლების წყალობით, ყველაფერი უცხოელებს მივყიდეთ და დავრჩით მშიერ-მწყურვალნი. ახია ჩვენზე, დღეს რუსეთი საქართველოდან ნაალაფარ დენს „თელასის“ შუამავლობით სამჯერ ძვირად რომ გვასყიდებს და საკუთარ წყალსაც ოქროს ფასად გვასმევს.*

# „თბილწყალი“ მოვალეებს აყაჩაღებს?!



## მისტერ იორგ, გადასახადებით ნუ დაგვახრჩობთ!

ამ უამურ ყოფაზე გვქონდა საუბარი რედაქციაში, რომ ჩვენი გაზეთის აქტივისტი, დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების საკითხებში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის სერთიფიკატის მფლობელი, პროფესორი **ანზორ მესხიშვილი** შემოგვესწრო. ბუნებრივია, ისიც შემოგვიერთდა:

— რა თქმა უნდა, შენს ქონებას უცხოელს რომ ჩაუგდებ ხელში, როგორც მოეპრიანება, ისე განკარგავს, თვითონ გამდიდრდება და შენ ხელის მოსამსახურედ გაგიხდის. გახსოვთ, ალბათ, თავის დროზე „თბილწყალკანალის“ გაყიდვაზე ტენდერს რომ აცხადებდა ხელისუფლება, როგორ გვაიმედებდა: აი ნახავთ, მოვა უცხოელი ინვესტორი, სისტემასაც მოაწესრიგებს, ტარიფსაც შეამცირებს და მომსახურებასაც გაგვიუმჯობესებსო. უცხოელი მართლაც მოვიდა (ოღონდ არა ფრანგი და შვედი, ისევ უფროსნაძმევი რუსი), მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა, ღატაკი მოსახლეობის დიდი ნაწილი წყლის გაზრდილ გადასახადს ვერ იხდის და ვალებში იხრჩობა.

**— როგორც ვიცი, ბატონო ანზორ, შპს „თბილისის წყლის“ ხელმძღვანელობამ გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობა გაითვალისწინა და წყლის დავალიანების მქონე მოქალაქეებისთვის შეღავათები დააწესა. ლაპარაკია გადასახადის 20-პროცენტიან შემცირებაზე. ის, ვინც გადახდის 3-წლიანი გრაფიკისა და დავალიანების 20 პროცენტით შემცირების შემდეგ, 50 პროცენტს მთლიანად გადაიხდის, დარჩენილი 50 პროცენტისგან თავისუფლდება.**

— ერთი შეხედვით, შპს „თბილისის წყლის“ (მისთვის ამჟამად უკვე უცხოური სახელი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ დაურქმევიათ!) ხელმძღვანელობის ეს ინიციატივა მისასალმებელი და მოსაწონია, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ თუ დავინტერესდებით, როგორ წარმოიშვა ეს დავალიანებები, ბევრ გაუგებრობასა და უსამართლობას გადავაწყდებით.

**— რას გულისხმობთ?**

— თუნდაც იმას, რაც ჩემს ოჯახს გადახდა და დღემდე სიმართლე ვერ მიპოვია. უფრო გასაგები რომ გახდეს გაზეთის მკითხველისთვის, დავაკონკრეტებ. კერძოდ, საქმე ეხება ჩემს ვაჟს — დიმიტრი მესხიშვილს, რომელმაც 2005 წლის ივლისში სს „პური არსობისგან“ შეიძინა თბილისში, ხიზამბარელის ქ. №1-ში მდებარე მიწების ნაკვეთი შენობა-ნაგებობებით, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. შესყიდვისას არ მომხდარა წყლის ხარჯვის საზომი მოწყობილობის (დანადგარის) გადაბარება. როგორც შემდეგ გაირკვა, ასეთი მოწყობილობა ყოფილა წინა წლებში, როცა მუშაობდა სამრეცხაო ფაბრიკა „ფიფქია“, რომელიც იყიდა „პური არსობისამ“.

წლეულს აპრილში შპს „თბილისის წყლის“ წარმომადგენლები მივიდნენ ზემოთ აღნიშნულ ობიექტზე, მესაკუთრის დაუსწრებლად შეადგინეს აქტი, დალუქეს წყლის მომწოდებელი (დღესაც დალუქულია) და **დატოვეს სამრეცხაო ფაბრიკა „ფიფქიის“ სახელზე გამოწერილი ქვითარი №34498816, რომელშიც არ არის მითითებული მრიცხველის ნომერი, წინა და მიმდინარე ჩვენებების მონაცემები.** სამაგიეროდ არ გამორჩენიათ დარიცხვა — 1450 ლარი. ამ თანხაში შედის წინა დავალიანება — 306 ლარი და ჯარიმა აღურიცხავი ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით, რომელიც ფაქტიურად უმოქმედოა და ვინ გაიყვანა ან როდის გაიყვანა, ისიც გაურკვეველია. გაურკვეველია აქტზე ხელმომწერთა გვარებიც და ისიც, რაზე მოაწერეს ხელი — სამრეცხაო ფაბრიკა „ფიფქია“ ხომ უკვე ათეული წლებია აღარ ფუნქციონირებს (!).

**იბადება ბუნებრივი კითხვა: იმ პერიოდში, როცა „ფიფქია“ მუშაობდა და წყალს ხარჯავდა (თანაც იმდენ წყალს, ის ხომ სამრეცხაო იყო!), ნუთუ ამას არავინ აღრიცხავდა და არ ახდევინებდა? როგორც ჩანს, ჩვენში „ნაცადი მეთოდით“ მუშაობდნენ, მაშინდელი „თბილწყალკანალის“ მუშაკები, ქვითრებს არ წერდნენ, ფულს კი იჯიბავდნენ და ახლა ცდილობენ „ფიფქიის“ ვალებს დამატებული ჯარიმის თანხებიც საკუთრების ახალ მეპატრონეს ყაჩაღურად წაღლიტონ.**

**— მერე, შეურიგდით ასეთ უკანონობას?**

— არა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩარევას ჩაყოლა ვამჯობინეთ. იმის მიუხედავად, რომ თავს დამნაშავედ არ ვთვლიდით, დავას მოვერიდეთ და ყურით მოთრეული გადასახადის და ჯარიმის გადახდას დავთანხმდით. გადავიხადეთ 290 ლარი, ამასთან შევვიდგინეს გადახდის გრაფიკი, გაგვიფორმეს დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ ხელშეკრულება (2009 წლის 28 აპრილს), რომლის მოთხოვნებს პირნათლად ვასრულებდით.

იხ. 7 გვ.

## კვირის სარკეში

### ერთი დღით ადრე

(მეორე გვერდიდან)

**ოპოზიციასთან ის ყბადაღებული „დიალოგი“ რომ ჩვენი ამერიკელი მეგობრების დელიკატური მოთხოვნა იყო, ამაში კიდევ ერთხელ ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის გამოსვლის წინადღეს პრეზიდენტ სააკაშვილის უკიდურესმა გააქტიურებამ დამარწმუნა.** წარმოიდგინეთ, პარლამენტში დებატებზეც კი დათანხმდა. მართალია, ტრადიციულად უფრო მეტი იტრაბახა, ვიდრე პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე ილაპარაკა, მაგრამ ხომ პატივი დაგვდო და საყვედურები მოისმინა. ეს უკვე კარგია. უკეთესი იქნებოდა, საყვედურების ირონიული მოგერიების ნაცვლად, ამ საყვედურების საფუძველს ჩასძიებოდა, მაგრამ, ალბათ, ამაზე დემოკრატიის მორიგი ტალღის გადავლის შემდეგ იფიქრებს.

სამწუხაროდ, კვლავინდებურად ძალიან შემაშფოთებელია პარლამენტის უმრავლესობის, შესაბამისად, ხელისუფლების პოზიცია — ისინი საკუთარ მოღვაწეობაში ნაკლს პრინციპულად ვერ ხედავენ. უფრო სწორად, პრინციპულად არ აღიარებენ და, ეტყობა, პრეზიდენტსაც ამას ჩასჩიჩინებენ. ალბათ, ამის გამოა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ქართული პოლიციის თუნდაც წლევანდელი მაისის ქმედებებში (მომიტინგეების სასტიკად დარბევა) დანაშაულის ნიშნებს ვერ ხედავს. კიდევ უფრო ცუდი ის არის, რომ ყველაზე მძაფრი კრიტიკის ობიექტი, შსს მინისტრი მერაბიშვილი საპარლამენტო დებატებზე საერთოდ არ გამოცხადებულა. უცნაურია, მაგრამ არც მომდევნო დღეებში გამოჩენილა და მისი გაუჩინმაჩინების თაობაზე არც რაიმე ოფიციალური განცხადება გაკეთებულა. გოგა ხაჩიძის ან ძია იულონ გაგოშიძისგან განსხვავებით, ბატონი მერაბიშვილის ხელში უზარმაზარი ძალაუფლებაა თავმოყრილი (დემოკრატიულობაზე უმცირესი პრეტენზიის მქონე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მსგავსი პრეცენდენტი არ არსებობს!) და მისი პერსონა სწორედ ამით იქცევს ყურადღებას, მაპატიეთ, სწორედ ამით არის საშიში — ღმერთმა ნუ ქნას და, გულში რამე ავი ზრახვა რომ ჩაიდოს, თვით პრეზიდენტი სააკაშვილიც კი მის წინაშე ჩვილივით უმწეო აღმოჩნდება.

პრეზიდენტმა პარლამენტში სტუმრობისას ხელისუფლებას ხალხში ხელახალი ხეტიალისკენ, ანუ გასვლებისკენ მოუწოდა. „გასვლები“ დაუყოვნებლივ დაიწყო და ამის თაობაზე სახელისუფლებო ტელევიზიებიც გულმოდგინედ გვაწვდიდნენ ინფორმაციებს. არ ვიცი, რას დავაბრალო, რომ ამ აქციის კომიკურობაზე პრეზიდენტს არავინ არაფერს არ ეუბნება. არადა „ხალხთან ყოფნა“ ჩუმლათელი თუ ხიდისთაველი გლეხისთვის ხელის ჩამორთმევას, მოკითხვას, მოსმენას და, თუნდაც, ნუგეშის ცემას არ ნიშნავს. ეს ნიშნავს ხალხის საჭიროებების, მოთხოვნების, პრეტენზიებისაც კი მეცნიერულ დონეზე შესწავლას, რეკომენდაციების შემუშავებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, უახლოესი და პერსპექტიული (გრძელვადიანი) გეგმების შედგენას, ფინანსების, შესრულების კონტროლს პრეზიდენტის ინიციატივას ოპოზიციაც გამოეხმაურა — ნაცი პალიკო კუბლაშვილი და ფორუმელი კახა შარტავა „ხალხში“ ერთად გავიდნენ! სავარაუდოდ, ორივეს სურს მეორეს დაანახოს, რომ მისი პოპულარობა არც ისე მაღალია, თვითონ რომ ჰგონია.

### ერთი დღის შემდეგ

**მისტერ ჯოზეფ ბაიდენი მართლაც იმაზე უკეთესი ძია გამოდგა, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა: მოგვეფერა, დაგვიყვავა, დაგვარიგა (თქვენ თავს თქვენ თვითონ მიხედეთო, ანუ ხელი და ტვინი გაანძრიეთო!), დაგვპირდა და გაემგზავრა.** თანაც, ყველაფერი ეს გააკეთა უაღრესი დელიკატურობით. ჩვენს ხელისუფლებასაც ღიმილ-ღიმილით საკმაოდ მაგარ-მაგრები უთხრა: ხელისუფლების გადანაწილებაო, სასამართლოს დამოუკიდებლობაო, სახელმწიფო მოწყობაო, მედიის თავისუფლებაო, ეკონომიკის სწორი მართვაო, საგარეო (რუსული) პოლიტიკაო...

კაცმა რომ თქვას, ხელისუფლებამ ყველა მისი შენიშვნა მადლობით მიიღო. ეს არ არის ცუდი.

ცუდი ის არის, რომ მისტერ ბაიდენის მიერ ნახსენებ და კიდევ ბევრ სხვა პრობლემაზე (რომლებიც იქნებ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტთან პირისპირ საუბრისას ახსენა კიდეც!), აგერ უკვე ხუთი წელიწადია, საზოგადოება განუწყვეტლივ გამოთქვამს პროტესტს, აწყობს მიტინგებს და მანიფესტაციებს, აცხადებს შიმშილობას, კეტავს ქუჩებს...

ხელისუფლება კი არ უსმენს.

ჯოზეფ ბაიდენს უსმენს.

# DUR SWEET UNCLE JOE

ეს არის სწორედ ჩვენი ტრაგედია — ჩვენი პრობლემა აუცილებლად სხვამ უნდა გადაჭრას.

კიდევ ერთ უცნაურობაზეც უნდა მოგახსენოთ.

მისტერ ბაიდენის ჩამოსვლამდე, მისი ვიზიტისას და წასვლის შემდეგაც ხელისუფლებაც და ოპოზიციაც (საპარლამენტოც და „ქუჩისაც“) ერთხმად ღაღადებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში, რუსეთისგან განსხვავებით, არ გააჩნია საკუთარი ინტერესები.

გამოდის, რომ ამერიკელებს ისე, უბრალოდ, ვუყვარვართ, თანაც, დაუსწრებლად; ან ჩვენი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ მთა-ველები აგიჟებთ; ან რუსეთის ჯიბრზე მოქმედებენ; ან, მაპატიეთ და, ოფოფები ჰყავთ...

მისტერ ბაიდენმაც ბრძანა, ჩვენ ყოველმხრივ მხარში ამოგიდგებით, მაგრამ არ იფიქროთ, საქართველოს მიმართ რაიმე ინტერესები (სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს გულისხმობდა) გვქონდესო. მოდი, ვიყოთ რეალისტები! ამერიკის შეერთებული შტატების „სასიცოცხლო ინტერესებში“ შედის მთელი პლანეტა და, ბუნებრივია, საქართველოც. სხვანაირად, არც ბუში, არც რაისი, არც მაილსი, არც ბრაიზა, არც ტეფტი, არც ბაიდენი და კიდევ უამრავი სხვა ამერიკული სპეცსამსახურისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ჩათვლით, ჩვენს ქვეყანას ყურადღების ღირსად არ ჩათვლიდა. შესაძლოა, ზუსტად არ ვიცოდეთ ამ ინტერესების ჩამონათვალი. ამ მხრივ ჩვენი მეზობელი რუსები გაცილებით უფრო გულახდილები ბრძანდებიან. ამიტომ ჯერ ის დავადგინოთ, რა უნდათ რუსებს და 99 პროცენტის ალბათობით გვეცოდინება, რა აინტერესებთ ამერიკელებს. მერე არჩევანი მივიტანოთ მიზანშეწონილობის პრინციპით. იქნებ, რუსებთან მეგობრობა გამოგვადგეს? ძალიან გთხოვთ, ბომბებს ნუ გაიხსენებთ — ამერიკელებს რომ ვიეტნამსა და ლაოსში ნაპალმები ჩამოუყრიათ, იმდენს რუსები უახლოესი ოცი წლის განმავლობაში ვერ დაამზადებენ. თუ ვაჭრობაა, ორივესთან თანაბარი პირობებით ვივაჭროთ. არ მითხრათ, ახლა, რუსეთის აგენტი ხარო! არა ვარ, მაგრამ რუსეთი, ავია თუ კარგია, ჩვენი კარის მეზობელია და მასთან გაუთავებელი კინკლაობით ვერაფერს ვერ გავხდებით. ევროპამ და ამერიკამ კარი ხვალვე რომ გაგვიღონ, ხომ ვერ მეტყვით, იმ კარში რის შეტან-გამოტანას ვაპირებთ?

თუ კითხვას შემომიბრუნებთ, გეტყვით, რისი შეტან-გამოტანა შეიძლება რუსეთის კარში.

ისე მისტერ ბაიდენმა მართლაც კეთილი ძია ჯოს **(Dur sweet uncle Joe)** შთაბეჭდილება დატოვა, ანუ ის კაცია, რაც ამ წერილის სათაურში წერია.

და მაინც, გასული კვირის ყველაზე... არც კი ვიცი, რა დავარქვა, — უცნაური, თავზარდამცემი, ანეკდოტური ამბავი იყო პრეზიდენტის განცხადება პარლამენტში, რომ იწონებს იმერეთის გუბერნატორის ინიციატივას საქართველოს პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანის თაობაზე.

— გადავიტანოთ, ოღონდ სანახევროდ, — ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა. — ამიერიდან ორი დედაქალაქი გვექნებაო.

ერთს, რა თქმა უნდა, ორი სჯობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მინიმუმ კიდევ ორი დედაქალაქიც გვაქვს, სოხუმი და ცხინვალი, ამ მხრივ აშკარად გინესის წიგნში შესატანი ქვეყანა ვართ.

არა, ამ კაკო ბობოხიძესაც რა ცხოველი ფანტაზია ჰქონია!

დავით IV აღმაშენებელი კი, ალბათ, საფლავში ბორგავს — მან ხომ მთელი თავისი მოღვაწეობა საქართველოს დედაქალაქის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანას, ერთდედაქალაქიანობას, ანუ საქართველოს გამთლიანებას შეალია!

**თეიმურაზ ძორიძე**

ექსპერტის აზრი

(მესამე გვერდიდან)

# ევა გოცირიძე: ხელისუფლებისადმი ნდობის დეფიციტი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა

თუმცა, კიდევ უფრო დიდ საშიშროებას მე სხვა რამეში ვხედავ – ესაა კანონების უსწოროდ, თვითნებურად, უპასუხისმგებლოდ გამოყენების საფრთხე. ასეთი საფრთხე განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როდესაც კანონი შესაბამის უწყებებს ძალის გამოყენების უფლებამოსილებით აღჭურავს. ხელისუფლების მხრიდან ძალის არამართლზომიერი გამოყენების საფრთხე დღეს, სამწუხაროდ ძალზე დიდია საქართველოში. გაცილებით უფრო მეტია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეს ნათლად დაგვანახა 6 მაისისა და 15 ივნისის ფაქტებმა, როდესაც მოხდა ხელისუფლების მხრიდან ძალის აშკარად ექსცესიური (6 მაისს) და სრულიად უსაფუძვლო, უკანონო (15 ივნისს) გამოყენება. დღესაც არაფრით ვართ დაზღვეულნი ხელისუფლების მხრიდან უკანონო ძალადობისგან, უკანონო ბრძანებებისგან, დამნაშავეთა დაუსჯელობისგან. ასეთი საფრთხის გამო ზემოხსენებული კანონის მიღება გაუმართლებელია. უფრო მეტიც: ჩემი აზრით, იგი პოლიტიკური შეცდომაა, რომელსაც ხელისუფლება უშვებს. ეს მხოლოდ აღრმავებს მისდამი უნდობლობას და კანონისადმი უარყოფითად განაწყობს საზოგადოებას. მართლაც ძალზე სათუოა ძალის მართლზომიერი და თანაზომიერი გამოყენების მოსალოდნელობა ვიგულვოთ იქ, სადაც პოლიცია (რომელსაც პოლიტიკური შეხედულებებისა და პრეფერენციების გამოხატვა ეკრძალება) პრეზიდენტის სახელს სკანდირებს, სადაც ჟურნალისტებს და მომიტინგეებს უმოწყალოდ სცემენ და სინამდვილის ამსახველ ვიდეოკადრებსართმევენ, სადაც პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანებს იარაღსა და ნარკოტიკს უდებენ და ციხეებში ერეკებიან... სადაც ნაცემ და ნაწამებ მომიტინგეებთან საპატიმრო ადგილებში ექიმების მისვლას საზოგადოებრივი ძალისხმევა სჭირდება, სადაც პოლიციელის შენობაში, დაპატიმრებულ ახალგაზრდას ფეხებზე ჯაჭვმობმული მიათრევენ კიბეზე... იმედს გამოვთქვამ, რომ ამ კანონს პრეზიდენტი ვეტოს დაადებს. ამ კანონის მიღება ხელისუფლების ინტერესებს შეესაბამება და არა საზოგადოებისა. ძალიან არ მინდა, რომ ფრაზა – „რაც სურს მეფეს, ის სურს კანონს“, რომელიც საფრანგეთში, ლუი XIV დროს იშვა და აბსოლუტიზმის ეპოქის სულისკვეთებას განასახიერებს, დღევანდელ ქართულ სინამდვილეში ადეკვატურად ჟღერდეს.

**– დღეს საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ ადამიანის ღირსების შელახვაზე.**

– დიახ. ეს სრულიად ბუნებრივია. როდესაც ადამიანის უფლებები ილახება, სულ ერთია, რომელ უფლებას შეეხება ის – გამოხატვის თავისუფლებას, საკუთრების უფლებას, სამართლიანი არჩევნების უფლებას თუ სხვას, იმავდროულად ილახება ადამიანის ღირსება, რამდენადაც ადამიანის უფლებათა საფუძველი ადამიანის ღირსებაა.

**– როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოიმოქმედოს მედიამ დემოკრატიის ხელშესაწყობად?**

– პირველ რიგში ჟურნალისტებმა ერთობლივად უნდა შეიმუშაოთ პროფესიული ეთიკის კოდექსი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. შეთანხმდეთ თქვენს უფლებებზე, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე, იზრუნოთ პროფესიონალიზმის ამაღლებისთვის, გაიცნობიეროთ თქვენი უზარმაზარი როლი დემოკრატიის განვითარების საქმეში. გააშუქოთ სისხლხორცეული საზოგადოებრივი პრობლემები, გაატაროთ სამართლიანობის დოქტრინა, უზრუნველყოთ ფლურალიზმი, არ დაუშვათ ცალმხრივი და მიკერძოებული მასალების მომზადება, შეუმოწმებელი ან წინასწარ შეცნობით ყალბი ინფორმაციის გადაცემა, სარედაქციო პოლიტიკაში სხვათა ჩარევა, მოერიდოთ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს, პირად ცხოვრებაში ჩარევას, ყოველგვარ ისეთ ქმედებას, რომელიც მედიის ამა თუ იმ საშუალებისადმი უნდობლობას შექმნის.

**– ქალბატონო ევა, თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის ნორმებს ხელისუფლების ქება-დიდება, მით უმეტეს მაშინ, თუ ჟურნალისტი გულწრფელია?**

– ამას ვერავის აუკრძალავ. მთავარია, იგი ხელისუფლების მსახურად არ გადაიქცეს. ჟურნალისტური ობიექტურობა და სამართლიანობა იმას გულისხმობს, რომ მან კარგიც უნდა გააშუქოს და ცუდიც. თუმცა, მისი ძირითადი ყურადღება ნაკლოვანებების გამოსწორებისკენ უნდა იყოს მიმართული. მას არ უნდა ეშინოდეს ხელისუფლების ნაკლოვანებებზე საუბარი მათ შორის – ყველაზე უფრო მწვავე კრიტიკა. და რომ არ ეშინოდეს, ეს სწორედ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს. ამიტომ არის ესოდენ აქტუალური ჟურნალისტთა უფლებების დაცვა. იგი, ერთი მხრივ, თავისთავადი სიკეთეა, და მეორე მხრივ, იმავდროულად, საერთო სიკეთის მიღწევის საშუალებაც. ამ ორმაგი ღირებულების გამო მედიის თავისუფლების დაცვის სტანდარტი ძალიან მაღალია დემოკრატიულ ქვეყნებში.




ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთი პრინციპი, დოქტრინა თუ კონცეფცია შეიმუშავა მედიის თავისუფლების ხელშესაწყობად. მათ შორისაა ე. წ. „მსუსხავი ეფექტის“ კონცეფცია. მისი არსი ის გახლავთ, რომ მაშინაც კი, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტები გარკვეულ დარღვევებს უშვებენ, მათ წინააღმდეგ განხორციელებული სანქციები არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც მსუსხავ ეფექტს იქონიებს მედიის თავისუფლებაზე, რომელიც დააშინებს ჟურნალისტებს და ხელს აალებინებს განზრახვაზე, მომავალშიც შეეხონ ყველაზე უფრო მწვავე საკითხებს. ასეთ ფონზე გმირებად მოჩანან და პატივისცემას იმსახურებენ ის ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც დარბევის, ცემისა და შეურაცხყოფის მოლოდინით ახორციელებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას.

**– ხელისუფლების კრიტიკაში ოპოზიციას ბადალი არა ჰყავს. ამაში ჟურნალისტების ხელის წაშველება მათ არ სჭირდებათ. თქვენი აზით, რამდენად ჯანსაღია დღეს ქართული ოპოზიციური სპექტრი, რომლებიც ხშირად არაკორექტულობითაც გამოირჩევიან?**

– დღევანდელი ოპოზიციური სპექტრი ჭრელია. მასში არიან სიმპათიური და ნაკლებად სიმპათიური პოლიტიკური ძალები. მივესალმები საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალების გამარჯვებას სამართლიან არჩევნებში. თუმცა, ჩემი რწმენით, ეს მაინც არ იქნება საკმარისი გარანტია დემოკრატიის განვითარებისთვის. წარმატების საწინდარი იქნება ახლადარჩეულ ხელისუფლებაზე პირველი დღეებიდანვე მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება და ამ კონტროლის ქმედითობისთვის ახალი, მრავალი და სხვადასხვაგვარი მეთოდების, ფორმებისა და ბერკეტების შექმნა და ამოქმედება. მთავარია, საზოგადოებაში იყოს ამის მზაობა. მხოლოდ ამის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დავიმსახურებთ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც აქამდე, ლოგიკურია, რომ ვერ დავიმსახურეთ.

რაც შეეხება პოლიტიკოსთა არაკორექტულ გამონათქვამებს, ცხადია ეს მოსაწონი არ არის, მაგრამ პოლიტიკური დებატების თავისუფლება, მას მეტ-ნაკლებად ჰგუობს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაამკვიდრა ძალიან მაღალი სტანდარტი და მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იცავდა არა მარტო ყველასთვის მისაღებ ან ნეიტრალურ ინფორმაციასა და იდეებს, არამედ ისეთებსაც, რომელიც შეიძლებოდა სხვებისთვის შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი და შემაშფოთებელი ყოფილიყო. პოლიტიკური დებატები უკავშირდება დიდ ვნებათაღელვას, სპონტანურ კამათს, რა დროსაც გამოთქმების შერჩევა იოლი არ არის. თითქმის აბსოლუტური დაცვა აქვს ხელისუფლების კრიტიკას. დაშვებულია ყველაზე უფრო მწვავე და მკვახე გამონათქვამები ხელისუფლების მისამართით. „გამოხატვის თავისუფლებას უნდა ჰქონდეს სასუნთქი სივრცე, რომელიც მას ესაჭიროება გადასარჩენად“. ეს სიტყვები, რომლებიც უილიამ ბრენანს ეკუთვნის, წარვუმძღვარე ჩემს წიგნს. მასში კარგად ჩანს, რომ გამოხატვის თავისუფლებას მკაცრ ჩარჩოებში ვერ მოაქცევ. მას დაეკარგება ის შინაგანი ძალა, იმპულსი და აღმაფრთოვანებელი ეფექტი, რომელიც გააჩნია.

დაბოლოს, მინდა მივმართო ხელისუფლებას. პოლიტიკურ დასავლეთში დიდი ხანია მიხვდნენ, რომ იდეათა ჩახშობა ყველაზე საშიში შეიძლება გახდეს, რადგან შიში შობს რეპრესიას, რეპრესია – სიძულვილს. სიძულვილი კი ემუქრება სახელმწიფოს სიმყარეს. ამიტომ, თუკი სახელმწიფოს „არჩამოშლა“ და ამასთანავე, ხელისუფლების შენარჩუნება გსურთ, დემოკრატიისკენ უნდა იბრუნოთ პირი, რომლის წარმატება დამოკიდებულია გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ორ ფაქტორზე – ამომრჩეველთა უნარზე, აირჩიოს ისეთი წარმომადგენელი, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავენ მათ შეხედულებებსა და ინტერესებს და, წარმომადგენელთა უნარზე – გაიგონ თავიანთი ამომრჩევლების პრობლემები.

ესაუბრა
**თეა მოსია**

SIC!

# რუსებმა გალის რაიონიდან აფხაზები გაყარეს!

**გალის რაიონი ყოველთვის „აფხაზეთის ბეღელად“ იწოდებოდა. მთელ აფხაზეთს ეკონომიკურადაც აძლიერებდა. ენგურჰესის ამოქმედების შემდეგ მას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც მიენიჭა. მოსახლეობით ეს უდიდესი რაიონი ოკუპაციის შემდეგაც, აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობის მთავარი გარანტია.**

ამჟამად მიმდინარეობს გალის რაიონის „გაწმენდა“ აფხაზებისგან. თხილი, ციტრუსი, ზუგდიდთან სიახლოვე, ვაჭრობა, კრიმინალების ალიანსი, საქონლის გადატან-გადმოტანა ენგურს გაღმა-გამოღმა – ეს სარფიანი საქმეა, რის გამოც იყრიდნენ თავს აფხაზები გალის რაიონში. არადა, გალის რაიონი სუფთა ქართული



რაიონი იყო, იქ აფხაზებს, თითო ოროლა გამონაკლისის გარდა, არასოდეს უცხოვრიათ.

რუსების მიერ აფხაზეთის აღიარების შემდეგ აფხაზებს პრობლემები შეექმნათ. რუსებმა კარგად იციან, რომ გალი აფხაზების სამშობლო არ არის, კარგად იციან ისიც თუ რა ფული კეთდება და როგორი შემოსავლიანი რაიონია გალი. ამიტომაც გადაწყვიტეს რუსებმა აფხაზების მოცილება და მათ მშობლიური რაიონებისკენ – ოჩამჩირე, ტყვარჩელი, გუდაუთა – აგზავნიან. „გალში არაფერი გესაქმებათ, აქაურ ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩვენ დავამყარებთ კავშირს და სიტუაციასაც ჩვენ გავაკონტროლებთო“ – ამბობენ რუსები. ყოველივე ამან, ბუნებრივია, აფხაზების აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია, მაგრამ რას იზამენ, უარესის ეშინიათ.

რუსების მიზანია გალში კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესება – იქ თავიანთი ჰეგემონიის დამყარება, რის შემდეგაც გალში დაბრუნებას ქართველი დევნილებიც მოისურვებენ. ამ პროცესს ზუგდიდში მცხოვრებ დევნილთა უმრავლესობა მიესალმება.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

ინფორმაცია

## გროზნოში ტერაქტს საქართველოს მოქალაქე შეეწირა

**ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში მომხდარი ტერაქტის შედეგად საქართველოს ერთი მოქალაქე დაიღუპა, ერთი კი დაჭრილია. კვირას 26 ივლისს გროზნოს საავადმყოფოში, აფეთქების შედეგად მიღებული ჭრილობებით საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ ავრცელებს. ამრიგად ჩეჩნეთის ცენტრში მომხდარი ტერაქტისას ექვსი ადამიანი დაღუპა.**

**ჩეჩნეთის შსს წარმომადგენლის ინფორმაციით ამჟამად საავადმყოფოში კიდევ ოთხი დაზარალებული იმყოფება, სამი მათგანი მილიციის თანამშრომელია. ასევე საავადმყოფოში გადაყვანილია კიდევ ერთი საქართველოს მოქალაქე.**

**შეგახსენებთ, რომ კვირას, დაახლოებით 17:00 გროზნოს თეატრალურ-საკონცერტო დარბაზის მოედანზე აფეთქება მოხდა. წინასწარი ინფორმაციით თვითმკვლელი ტერორისტი ასაფეთქებელი ნივთიერების საკონცერტო დარბაზში შეტანას აპირებდა, მას ხელი მილიციის თანამშრომლებმა შეუშალეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

არის იდეა!

# უცენზუროებიდან ცენზურულებამდე

**იმ სამაგალითო დასავლეთში სიტყვის თავისუფლება ზოგჯერ თავისებურად ესმით. უცხოურ მხატვრულ ფილმებს, ჩვენს ტელეარხებზე ქართულად გახმოვანებულთ, ხომ უყურებთ და რასაა, უწმაწურს რომ არ ამბობენ: ეს ტ....ო, ეს ს...ო, ეს წადი შენიო და რა გინდა, სულო და ყურო...**

ამას იმიტომ შევნიშნავ, რომ მზერა და სმენა, ასე თუ ისე, კაი ხანია „გაგვივარჯიშდა“ და უჩვეულო აღარაფრა უნდა მოგვეჩვენოს; და რაკი უწმაწური გამოთქმები, გაგიხარიათ, ქართველებსაც ბლომად გვაქვს, ქვემოთ შევეცდები ისინი უცენზუროებიდან უფრო ცენზურული, უწმაწურთან შედარებით „წმაწური“ გავხადოთ, რომ ჩვენს შემდგომად მკითხველსა ჩვენსა ხმარება მათი გაუადვილდეს...

იმ სიტუაციისათვის, იმ ვითარებისათვის, სადაც ვერ გაგვიგია, რა ხდება, ვერ გავრკვეულვართ, ვინ ვისა და რატომ, რამდენიმე ვარიანტს შეგირჩევთ ხმამაღლა, დაურცხვენლად წამოსაძახებლად თუ დასაწერად: ვისი რე (მუსიკალური ნოტი!ძ ვის მარშშია; ვისი ხე ვის ბაღშია; ვისი თხლე ვის ჯამშია (დაგვეთანხმებით, ასეთი მდგომარეობები ჩვენს რეალობაში უხვად გვხვდებაძ.

ვინმეს დედის „ტკბილად“ მოხსენიების სურვილი როცა გვიჩნდება (არც ასეთი შემთხვევაა იშვიათიძ, შეიძლება შენიღბულად თქმა: ეგ დედამორთული; ეგ დედამორთხმული; ეგ დედამოხნული; ეგ დედამოწნული... როგორც ვხედავთ, აქ არჩევანი კიდევ უფრო მდიდრულია, ვინემ ახლახან...

ისეთი გარემოებებისას, როცა გიჭირს გამოცნობა, თუ ვინ ვინ არის, რას წარმოადგენს (თუ იზ ხუძ, – ზედგამოჭრილია „ფორმულა“: თეთრი ფრაკი, შავი ფრაკი ამ სალონში გამოჩნდება...

კიდევ გვეგულება „ოქროს“ რეზერვი: ჭამოს ჩემი ჩირი; რა ჩემ ჩირად მინდა ამისთანა მთავარსარდალი (ხომ არ გენიშნათ?!.ძ!; მაგ გამოთხლევებულს რა უნდა მოჰკითხო... ეგ ჩემის თავრეტიანი!..

...ხანდახან უცენზუროდან ცენზურულამდეც მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

**თამაზ ილმელი**

ვაი ამ ყოფას!

# „თბილწყალი“ მოიჯარეებს აყაჩაღებს?!

(მეხუთე გვერდიდან)

**— შემდეგ რა მოხდა?**

— შემდეგ მოხდა, რაც მოხდა — გაუგონარი საოცრება! **ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ადგილზე მისვლისას (19 მაისს) დაგვხვდა ახალი ქვითარი, ისევ არარსებული სამრეცხაო ფაბრიკის „ფიფქიას“ სახელზე გამოწერილი. მაგრამ ამჯერად უკვე ზღაპრულად გაბერილი თანხით: დარიცხულია 16278,40 ლარი, აქედან წინა დავალიანება შეადგენს 1160 ლარს, მაშინ, როცა 14 აპრილის ქვითარში ეს თანხა არ აღემატებოდა 306 ლარს. ამასთან, ახალ ქვითარში გაჩნდა მრიცხველის ნომერი და მიმდინარე ჩვენება, რაც ადრინდელ ქვითარში არ იყო(!).**

რა უნდა გვექნა? ამ „სასწაულით“ გაოგნებულებმა შემოვირტყით თავში ხელი და კვლავ მივადექით „თბილისის წყლის“ ან უკვე ინგლისურად სახელგადარქმეულ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ჟალუზიან კარს. რეალიზაციის დეპარტამენტის უამრავ საქმეში ჩაფლულმა ბატონმა თემურ გორდაძემ თავი ასწია, კომპიუტერში ჩაიხედა და მრავალმნიშვნელოვნად გვამცნო, რომ შეცდომაა დაშვებული, არასწორად არის გამოწერილი განმეორებითი ქვითარი. არა უშავსო, დაგვაიმედა, დაწერეთ განცხადება, კომისია განიხილავს და ყველაფერი გასწორდებაო. ასეც მოვიქეცით, 25 მაისს ვაახლეთ განცხადება დასახელებული დეპარტამენტის დირექტორს ბესო ვაშაკაშვილს, რომლისგანაც პასუხი, ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, დღემდე არ მიგვიღია. მხოლოდ მოსახლეობასთან ურთიერთობის მუშაკმა ბატონმა შალვა ენუქიძემ გადმოგვხედა მოწყალების თვალით და სიტყვიერად განგვიცხადა, რომ კომისიამ, რომლის სხდომაზეც ჩვენ არ მივუწვევივართ, თურმე უარი თქვა ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

**— რატომ მთლად უფროსს, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალურ დირექტორს არ მიმართეთ?**

— როგორ არ მივმართეთ. მის აღმატებულებას, მისტერ იორგ მათიეს პირადად მე გავუგზავნე წერილი. ვთხოვდი დაინტერესებულიყო, გაერკვია: წლების განმავლობაში რატომ ერთხელ მაინც არ მივიდა „თბილისის წყლის“ წარმომადგენელი და არ გამოწერა გადასახადის საფასურის ქვითარი? რატომ გამოიწერა 2009 წლის 3 აპრილის ქვითრით გადასახადი 1450 ლარი, ხოლო 19 მაისის ქვითრით — 16278,40 ლარი? რატომ არ არის ქვითრებში მითითებული მრიცხველის წინა მონაცემები? და მთელი რიგი სხვა გაუგებრობები.




**— არც მისგან მიგიღიათ პასუხი?**

— პასუხს ვინ ჩივის, ისიც ვერ გავარკვიე, მიიღო თუ არა ბატონმა იორგ მათიესმა ჩემი წერილი. ქართული მან არ იცის, ნათარგმნ ტექსტს არ იტოვებენ, ჩვენ თვითონ ვუთარგმნითო. ვრეკავ, არავინ მპასუხობს, შესვლითაც არ მიშვებენ და როგორ გავიგო, რა მოუთარგმნეს?!.

**დასკვნა? აი თურმე როგორი გულისყურით ეკიდებიან შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ ვალების წარმომავლობაში კანონიერების დადგენას და გაუგებრობის შემთხვევაში (რაც არც თუ იშვიათია) მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებების განხილვას. დამერწმუნებით, ეს ამ კომპანიის მხრიდან აბონენტთა დაყაჩაღებას უფრო ჰგავს, ვიდრე დავალიანების მქონე მოსახლეობისთვის შეღავათის გაწევას. ყოველ შემთხვევაში, ამ ფაქტიდან კაცი სხვა დასკვნას ვერ გამოიტანს.**

ოთარ ხუციშვილი

ადუღებული დრო

# ხელისუფლებამ უთავობით ეკონომიკა დააქცია

## ქვეყანა მავნე და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციით გაავსო

**მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ოფიციალური სტატისტიკა მთლიანად საკუთარ ინტერესებს მოარგო და ეს მძაფრი ინფორმაციული ფაბრიკა ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარა, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების და პროცესების რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების ობიექტური ასახვა და ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე ერთიანად ვირტუალურ სივრცეში მოექცა.**

ცნობილი ექსპერტების, ჟურნალისტების, პოლიტიკური პარტიების გაანგარიშებით, მთავრობამ ღარიბ შინამეურნეთა რიცხვი ხელოვნურად 1,7-ჯერ, ღარიბთა რაოდენობა ერთი მესამედით, ხოლო უმუშევართა რაოდენობა 140 ათასი კაცით შეამცირა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დონე 13,3 პროცენტამდე დაიყვანა, ფასების ზრდის მონაცემები კი 5,5 პროცენტამდე, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სინამდვილეში სამჯერ და ოთხჯერ მაღალია.

ხელისუფლება მოსახლეობას არწმუნებს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი 2003 წელთან შედარებით 300 პროცენტზე მეტად გაიზარდა, მაშინ როდესაც რეალური ზრდა მხოლოდ 45,7 პროცენტია, აზერბაიჯანში — 159,5, ხოლო სომხეთში — 73,3 პროცენტი. ამ სიყალბის ჩამდენ ხელისუფლებას არავითარი უფლება არ აქვს, ილაპარაკოს მეზობელი აზერბაიჯანის და სომხეთის ეკონომიკის ჩამოშლაზე და საქართველოს ეკონომიკის აყვავებაზე.



**რა ეკონომიკის აყვავებაზეა საუბარი, როდესაც თვით მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, იმპორტი ექსპორტს 4,5-ჯერ აჭარბებს, როცა უარყოფითი სალდო 4 მილიარდ დოლარზე მეტია და 2003 წელთან შედარებით 4,6-ჯერ მეტად არის გაზრდილი? საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი შეადგენს: ევროპის ქვეყნებთან — 2 მილიარდ 376 მილიონ დოლარს, აზიის ქვეყნებთან — 1 მილიარდ 507 მილიონს, ოკეანეთის ქვეყნებთან — 9,1 მილიონს.**

სხვა მრავალ უარყოფით ფაქტორთან ერთად, იმპორტის მაჩვენებლების ასეთი სწრაფი ტემპით ზრდამ კიდევ უფრო გაზარდა ქვეყანაში უხარისხო, ვადაგასული, ჯანმრთელობისთვის საშიში, უვარგისი კონტრაბანდული პროდუქტების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, მედიკამენტების და სხვა საქონლის წარმოების, შემოტანის, რეალიზაციის რისკი, რომლის ძირითადი მიზეზი გახლავთ ბენდუქიძისეული რეფორმები, რამაც გამოიწვია საკანონმდებლო ბაზის მოშლა, გაუმართლებელი სტრუქტურული ცვლილებები, სახელმწიფო მმართველობითი რგოლების რეორგანიზაცია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მოშთობა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მკითხველს შევახსენებთ, რომ **საქართველოს პარლამენტმა 3-ჯერ ჩააგდო გაეროს მიერ 2000 წელს რეკომენდებული კარტახენას ოქმის რატიფიკაცია, — კორუფციის მოშველიების მიზეზით (თითქოს დღეს ხელისუფლებაში აღარ არიან კორუმპირებულები), გააუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტი, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია, ფიტოსანიტარიული სამსახური, შრომის ბირჟისა და დასაქმების სააგენტოები. კონტროლის ფუნქცია შეუჩერეს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს 2010 წლის 1 იანვრამდე, თურქეთიდან შემოტანილ პროდუქტებზე დააწესეს დაბეგვრის ნულოვანი რეჟიმი, რაც სასათბურე პირობებს უქმნის შემოზიდულ პროდუქტებს და ძირს უთხრის ეროვნული პროდუქციის წარმოებასა და განვითარებას.**

საშემოსავლო გადასახადის გაზრდამ 12 პროცენტიდან 25 პროცენტამდე წელში გატეხა ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა, საშუალო და მცირე ბიზნესში დასაქმებულები. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 15-მდე მუხლის გაუქმებამ, რაც ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციებს ფალსიფიკატორებისა და ყალბისმქმნელების მიმართ, ხელი შეუწყო „შავი ბიზნესის“ აყვავებას. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიახლოებითაც კი არ აქვეყნებს მონაცემებს საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებით, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებით მოქალაქეთა მოწამვლის და გარდაცვალებულთა რაოდენობის შესახებ, რაც ხელს უშლის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს მწვანეთა პარტიის მონაცემებით **„ამერიკიდან შემოსული ხორბლის 81 პროცენტი, სიმინდის 40 პროცენტი და ბამბის 73 პროცენტი გენმოდიფიცირებულია, არგენტინიდან შემოსული სიმინდის 95 პროცენტი ასევე გენური მანიპულაციებით არის მიღებული. რაც უნდა საოცარი იყოს, ყველაზე მეტი რაოდენობით ასეთი პროდუქტები შემოდის რუსეთიდან. ეს არის სოსისები, სარდელები, პელმენები, კატლეტები, თევზეული და სხვა.**

ყველა ზემოთ დასახელებულმა და სხვა მრავალმა ნეგატიურმა გარემოებამ კატასტროფული გავლენა მოახდინა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ შორის კომერციული ბანკებისა და მათი მოვალეების ურთიერთდამოკიდებულებაზე, რასაც გარდა ხელისუფლებისა, ყველა მტკივნეულად აღიქვამს და ქვეყანაში ფეთქებად საშიშროებას ქმნის.

**„იაფი სესხის“ მთავრობისეულმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიაყენა როგორც ფულად-საკრედიტო სისტემას, ასევე ბანკის მოვალეებს.**

ბანკები თავიანთი წინდაუხედაობით თუ მთავრობის ზეწოლით მიჰყვნენ მაცდურ გზას, გასცეს დიდი რაოდენობის კრედიტები, რომლის ამოღება-დაფარვა ქვეყანაში არსებული საფინანსო-ეკონომიკური, პოლიტიკური კრიზისისა და მოვალეთა უდიდესი ნაწილის გადახდისუუნარობის გამო ვეღარ მოახერხეს.

პრესაში გამოქვეყნებული ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში კომერციული ბანკების, ასევე, მეანაბრეთა მდგომარეობა კრიტიკულია. **ბანკების ზარალი 2003 წლის თებერვალში 18,7 მილიონ ლარს შეადგენდა და იანვართან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა. კომერციულმა ბანკებმა მთლიანად 2008 წელი 215,7 მილიონის ზარალით დაამთავრეს. მარტო გაცემულ სესხებზე ბანკებმა აგვისტოდან („მოგებული ომიდან“) 550 მილიონ ლარზე მეტი დაკარგეს.**

ხელისუფლება კი ამ დროს შეცდომების აღიარებისა და პრობლემების აღმოფხვრის მაგივრად, ტრაბახით, ბაქიბუქითა და თავისი „მაღალი რეიტინგით“ იკლებს ქვეყანას. როგორც მრავალი სხვა დაპირება, ბლეფი და ტყუილი აღმოჩნდა ასი ახალი საავადმყოფოს აშენება, ასი ახალი საწარმოს ამუშავება, პენსიის 100 დოლარამდე გაზრდა და სხვ.

ფულად-საკრედიტო სისტემის მოწესრიგებისა და კომერციული ბანკებისა და მათი მოვალეების დაძაბული ურთიერთობის განმუხტვის მიზნით, რასაც შეიძლება კატასტროფული შედეგი მოჰყვეს, ხელისუფლებას ვთავაზობთ კრიზისისგან გამოსვლის რამდენიმე გზას. ესენია:

**— სახელმწიფოსგან დასახელებული ვალების შესყიდვა და მსესხებელთა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, თუნდაც იმ 4,5 მილიარდი დოლარის იმედით, რომელსაც დასავლეთი დახმარების სახით გვპირდება (ყველაზე საუკეთესო ვარიანტი);**

**— სახელმწიფო ბიუჯეტის გაუშიფრავი, „სხვა ხარჯების“ გაშიფვრა, რომელიც 2003 წელთან შედარებით 1 მილიარდ 103 მილიონი ლარით, ანუ 347,8 პროცენტით გაიზარდა (იყო 445,2 მილიონი, გახდა 1.542,2 მილიონი ლარი), ამ ხარჯების კანონიერების დადგენა, დამრღვევებისაგან მიუყენებელი ზარალის ანაზღაურება და ამ გზით მიღებული თანხების მეანაბრეთა დავალიანების დასაფარავად მიმართვა;**

**— საერთო დანიშნულების მოსამსახურეებზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების შენახვაზე) გაწეული ხარჯების — ხელფასების, მივლინებების, ტრანსპორტის მომსახურების და სხვა მიზნით გაწეული ხარჯების განახევრება და გამოთავისუფლებული თანხების მეანაბრეთა დავალიანებების დასაფარავად მიმართვა;**

**— კრედიტების გადავადება 20-25 წლით და მეანაბრეებზე დამატებით დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემა;**

**— მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელშეწყობა და მათი ყველა სახის გადასახადებისგან გათავისუფლება.**

დროა, ხელისუფლებამ თვალი გაახილოს, პრობლემების სირთულე გაისიგრძეგანოს, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები დაძაბულობის გასანეიტრალებლად, თორემ არავინ უწყის ათეულ ათასობით ქონება და ბინაწართმეული მოვალეები რა საშინელებას დაატრიალებენ.

**ლევან ბაღდავაძე,**

**საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბაიდენის ვიზიტმა საქართველოს პრეზიდენტს ზიანი არ მიაყენა

**ბაიდენის საქართველოში ვიზიტის შემდეგ ცხადი გახდა, რომ სააკაშვილმა თავი დააღწია პოლიტიკურ სიკვდილს.**

ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის მოპოვებისათვის სააკაშვილი სალმიანობიდან თავხედობაზე გადავიდა და თავის სტუმარს შუა ბანკეტის დროს განუცხადა, რომ „საქართველოში უფასო სადილები არ არსებობს“. ბაიდენს არ დაუწყია საჯაროდ სააკაშვილის კრიტიკა, იგი თავს დაესხა რუსეთს.

ახლა უკვე ცხადია, რომ სააკაშვილი დარჩება თავის პოსტზე ვადის ბოლომდე, თუ რაიმე ექსტრაორდინარული არ მოხდა. ეს არის ნამდვილი სასწაული, განაცხადა ლორენს სკოტ შიტსმა ერთ-ერთი დამოუკიდებელი ორგანიზაციიდან. სააკაშვილი ავლენს გასაოცარ უნარს – აღდგეს მრავალრიცხოვანი შეცდომების შემდეგ, შეეხება ეს 2007 წლის ნოემბრის დემონსტრაციის დარბევას, თუ რუსეთთან ომს.

სააკაშვილი მწვავედ განიცდის, რომ დასავლეთ ევროპაში მას აღარ უჭერენ მხარს – ომის შემდეგ იგი ლატვიისა და ლიტვის იქით აღარსად გამგზავრებულა, აღნიშნავს ანალიტიკოსი ალექსანდრ რანი, გერმანიის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოდან. ამ დროს შარშან, ვაშინგტონელი ექსპერტის ნიკოლაი ზლობინის შეფასებით, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში უკვე იმყოფებოდა ქართული ოპოზიციის ყველა ლიდერი, და თითოეული გვარწმუნებდა, რომ გამარჯვება მას დარჩება. მაგრამ საქართველოში პროტესტის მასობრივი აქციები რამდენიმე კვირის შემდეგ პრაქტიკულად უმოქმედო გახდა და ბაიდენის ვიზიტი (გაურკვეველია, რამდენად შემთხვევითძ, დაემთხვა მათ საბოლოო შეწყვეტას.

სააკაშვილის თანაშემწეები არწმუნებდნენ ბაიდენს, მიეღო მონაწილეობა რაიმე არასაოქმო ღონისძიებაში, რათა მიეღწიათ მისგან ადამიანური სითბოს გამოვლინებას. არაფორმალურ შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთიდან დევნილ ბავშვებთან ეს მოხერხდა: ბაიდენის თავშეკავებულობა გაღვა, იგი პირდაპირ გამოთქვამდა თავის აღშფოთებას რუსეთთან დაკავშირებით. ყველა, ვინც ელოდებოდა, რომ ბაიდენი გააკრიტიკებდა სააკაშვილს, ანდა თავისი მხარდაჭერით აღაფრთოვანებდა საპროტესტო აქციებს, გაწბილებული დარჩა. ეს არ ნიშნავს, რომ სააკაშვილის უბედურებანი დამთავრდა: მილიარდი დოლარი, რომელიც ვაშინგტონმა გამოუყო ომის შემდეგ, უკვე განაწილებულია, უმუშევრობის დონე გაიზარდა 17 პროცენტამდე.

ელენ ბარი

The New York Times

# დასუსტებული რუსეთი ქედს მოიხრის ამერიკის წინაშე

**ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ინტერვიუში თქვა, რომ დასუსტებული რუსეთი ქედს მოიხრის შეერთებული შტატების წინაშე.** მისი სიტყვებით, რუსეთის ეკონომიკა სუსტდება, რაც აიძულებს მოსკოვს წავიდეს დასავლეთის წინაშე დათმობებზე ეროვნული უშიშროების მთელ რიგ საკითხებში, მათ შორის აიძულებს მას შეასუსტოს კონტროლი ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებთან და შეამციროს თავისი კოლოსალური ბირთვული პოტენციალი.



ბაიდენის აზრით, რუსეთის ახალი საგარეოპოლიტიკური კურსის მთავარი მამოძრავებელია შინაპოლიტიკური დაძაბულობა, როგორც იგი ამტკიცებს, მოსკოვი დაიწყებს უფრო აქტიურ თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ირანსა და ჩრდილოეთ კორეაში ბირთვული დამუშავებების დაბლოკვის მიზნით. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა მიუთითა აგრეთვე იმაზე, რომ რუსეთის მოსახლეობა მცირდება, საბანკო სექტორი და სტრუქტურა ძნელად რომ გაძლებენ კიდევ თხუთმეტი წელიწადი, მთლიანად კი ქვეყანა სულდგმულობს დრომოჭმულ კონცეფციაზე, მაშინ, როდესაც მსოფლიო სწრაფად იცვლება. ბაიდენის გამონათქვამები – ობამას ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენლის ყველაზე გულღია განცხადებაა, რომელიც შუქს ფენს იმას, თუ რატომ აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი, რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვას. ამ დროს ბაიდენმა მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს – რუსეთს მოეპყრას, როგორც დიდ მოთამაშეს. „როგორც მამაჩემი მეუბნებოდა: არასოდეს მიაყენო სხვა ვინმე კუთხეში, საიდანაც იგი ვერ გამოვა, თუ შენ არ გადაგიარა თავზე“. იმპერიის დაკარგვას ძნელია რომ შეურიგდე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, განმარტა ბაიდენმა.

პიტერ შპიგელი

THE WALL STREET JOURNAL.

# ჰილარი კლინტონი ცდილობს დაამშვიდოს მოსკოვი ბაიდენის რემარკების შემდეგ

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი შეეცადა გაებათილებინა ნეგატიური ეფექტი, რაც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ინტერვიუმ ერთ-ერთ გაზეთში: მან რუსეთს უწოდა „დიდი სახელმწიფო“ და აღნიშნა, რომ მიუხედავად ზოგიერთი ერთმანეთისადმი გამოთქმული პრეტენზიებისა, ქვეყნები განაგრძნობენ თავიანთ წარმატებულ თანამშრომლობას მთელი რიგი მიმართულებებით.**



გამოცემა აღნიშნავს, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტი ობამას ადმინისტრაციისათვის. თუმცა, ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის ინტერვიუში, პიროვნებისა, რომელიც ცნობილია თავისი პირდაპირობით, გამოითქვა მთელი რიგი კრემლისათვის ნაკლებად სასიამოვნო აზრები: აიო, რუსეთი, რომელმაც დაკარგა მოსახლეობის დიდი ნაწილი და დაუსუსტდა ეკონომიკა, იძულებული გახდება წავიდეს დათმობებზეო.

„ჩვენ აღვიქვამთ რუსეთს, როგორც დიდ სახელმწიფოს, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა – ამჟამად ყველა ქვეყანას უწევს გამოწვევებთან შეხვედრა... რუსებმა იციან, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი საკითხი ზოგიერთ მიმართულებასთან დაკავშირებით პოლიტიკაში, მათ კი აქვთ თავიანთი ძველი საკითხები ჩვენი პოლიტიკოსების ზოგიერთ მიმართულებასთან დაკავშირებით“. სახელმწიფო მდივანმა განსაკუთრებით აღნიშნა დადებითი თანამშრომლობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა ირანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ბრძოლა ექსტრემიზმთან.

დანიელ დონბი
კეტრინ დელტონი.

FINANCIAL TIMES

# აშშ-ს აღარ სურს იყოს დამოკიდებული იუშჩენკოსა და სააკაშვილზე

**ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დაარწმუნა კიევი და თბილისი, რომ მათ კვლავაც შეუძლიათ იქონიონ იმედი ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერისა, მათ შორის, ნატოში შესვლის საკითხთან დაკავშირებითაც. მაგრამ ბაიდენის ძირითადი გზავნილი სხვაგვარად ჟღერს.**

უკრაინასა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტებმა, რომლებიც გაიმართა ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბარაკ ობამას რუსეთის პრეზიდენტთან დიმიტრი მედვედევთან შეხვედრიდან ორი კვირის შემდეგ, წამოიწყეს ახალი მეორე თავი შეერთებული შტატების ახალ აღმოსავლეთევროპულ პოლიტიკაში. ობამამ განაცხადა, „გადატვირთვის შესახებ“ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში. ბაიდენის ვიზიტის მთავარი ამოცანა იყო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პოლიტიკის განმარტება კიევთან და თბილისთან დაკავშირებით. ვიცე-პრეზიდენტს მარაგში ჰქონდა ერთბაშად რამდენიმე გზავნილი – ცხადიც და ფარულიც.

ჯო ბაიდენის საჯარო და ყველაზე აშკარა განცხადებები დაახლოებით ასე გამოიყურება: ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს რუსეთის გავლენის ზონებს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ვაშინგტონი გამოდის უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ორივე ქვეყნისათვის ღიაა კარი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის ნატოშიც. აქ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია არ შეცვლილა.

ბაიდენის განცხადება ხაზგასმით აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მემკვიდრეობითობას. მაგრამ, ამავე დროს, ცხადია, ახალი ადმინისტრაციის აქცენტების ცვლილებაც იმ კურსთან დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებდა ჯორჯ ბუში და ეს გამოვლინდა ირიბ გზავნილებში, რომლებიც ჯო ბაიდენმა ჩამოიტანა კიევსა და თბილისში.

ამრიგად, უკრაინისა და საქართველოს სუვერენიტეტის პრინციპული მხარდაჭერა ძალაში რჩება. მაგრამ ბაიდენის ძირითადი გზავნილი სხვაგვარად ჟღერს. „გადატვირთვა“ მოსკოვთან ურთიერთობაში ნიშნავს გადატვირთვას კიევთან და თბილისთან ურთიერთობებშიც. ჯორჯ ბუშის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში მიზნად ისახავდა რუსეთის შეკავებას. ამიტომ ვაშინგტონი აქტიურად უჭერდა მხარს კიევსა და თბილისს, ისინი კი ვრცლად იყენებდნენ ამას თავიანთი მიზნებისათვის, განსაკუთრებით საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი.

თეთრი სახლის ახალ ხელმძღვანელს ობამას უკვე აღარ უნდა ასეთი დამოკიდებულება თბილისისაგან და კიევისაგან, მით უმეტეს, რომ საშინაო პოზიცია როგორც იუშჩენკოსი, ისე სააკაშვილისა საგრძნობლად შეირყა, ნატოში შესვლა კი სულ ცოტა, უკრაინისათვის რჩება სადავო საკითხად ქვეყნის შიგნით. და თვით ალიანსისათვის აქვს კი განა აზრი საქართველოს და უკრაინის მიღებას თავის რიგებში, ისინი ამისათვის კარგად უნდა მოემზადონ, მოსახლეობამ კი ფართოდ უნდა დაუჭიროს მხარი ამ ნაბიჯს.

ინგო მანტოიფერი

DW-WORLD.DE
DEUTSCHE WELLE

## დედამიწის ზურგზე



**ბერლუსკონი მეძავს დაჰპირდა სავარძელს ევროპარლამენტში**

ამის შესახებ განაცხადა სკანდალის მონაწილემ, იტალიელმა მეძავმა პატრიცია დ,ადარიომ. ადრე პრესაში გამოჩნდა აუდიოჩანაწერი, რომელიც თითქოსდა მან გააკეთა პრემიერ-მინისტრთან ინტიმური კავშირის დროს. გატარებული ღამისათვის ბერლუსკონი სთავაზობდა მას ფულს, დახმარებას და ადგილს ევროპარლამენტში.

* * *

**მოსკოვი და კიევი დიპლომატიური ომის ზღვარზე: უკრაინამ შეიძლება გაასახლოს რუსეთის ფედერაციის კონსული**

გასულ კვირას უკრაინის ხელისუფლებამ მოითხოვა, რომ ქვეყანა დატოვოს რუსეთის საელჩოს მრჩეველმა ვლადიმერ ლისენკომ, რომელიც დაკავშირებული იყო შავი ზღვის ფლოტთან. შემდეგ გაასახლებენ რუსეთის ფედერაციის გენერალურ კონსულს ოდესაში ალექსანდრ გრაჩოვს.

* * *



**ამერიკელები სულ უფრო ცოტა რუს ბავშვს შვილობენ**

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის სიტყვებით, რომელიც ხელმძღვანელობს შვილობის საკითხებს, ამჟამად წელიწადში შვილობენ დაახლოებით 1800 ბავშვს რუსეთიდან. 90-იან წლებში ამერიკელები ჩვეულებრივად შვილობდნენ 4-5 ათას ბავშვს რუსეთიდან წელიწადში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიღუპა 16 რუსი ბავშვი.

* * *

**ჰილარი კლინტონი აღარ აპირებს იბრძოლოს აშშ პრეზიდენტის პოსტისათვის**

მაგრამ მას განზრახული აქვს იხილოს, სანამ ცოცხალია, თუ როგორ გახდება პირველად ქალი შეერთებული შტატების უფროსი. „ვფიქრობ, ქალს შეუძლია მოიგოს და გახდეს პრეზიდენტი“, – განაცხადა სახელმწიფო მდივანმა, ასე შეეცადა იგი უარეყო გავრცელებული ხმები: მას ობამასთან აქვს „საუცხოო ურთიერთობა“, არავითარი აზრთა დაპირისპირება.

* * *

**ტეხასელმა მექანიკოსმა მოიგო ერნესტ ჰემინგუეის ორეულთა კონკურსი**

კონკურსი მიმდინარეობდა ფლორიდის შტატში ექვსდღიანი ფესტივალის ფარგლებში ნობელის პრემიის ლაურეატის ერნესტ ჰემინგუეის 110 წლისთავთან დაკავშირებით. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 140 კაცი. ფინალამდე მიაღწია მხოლოდ 30-მა. დევიდ დუგლასმა გაიმარჯვა მერვე მცდელობის დროს.



◎ თარიღი

***სამედიცინო პარაზიტოლოგიის აღიარებულ სპეციალისტს, ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს ოთარ ზენაიშვილს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.***

# ღვაწლი კაცისა

თბილისის პირველი საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი ოთარი, როგორც ერუდირებული სპეციალისტი, 1947 წელს ინიშნება სამხრეთ ოსეთის საოლქო-სამალარიო (ტროპიკული) სადგურის გამგედ. იმ პერიოდში საქართველოში მალარია მძვინვარებდა. იქ მუშაობის დროს ოთარ ზენაიშვილმა თავი გამოიჩინა მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებების წარმატებით გატარებაში და, როგორც თვალსაჩინო სპეციალისტი, 1949 წელს გადმოყვანილ იქნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში და დაინიშნა აპარატის სანეპიდსამმართველოს სამალარიო ჯგუფში ინსპექტორ-მალარიოლოგის თანამდებობაზე.



სამხრეთ ოსეთში ყოფნის პერიოდში ოთარ ზენაიშვილი შეთავსებით მუშაობდა საოლქო პოლიკლინიკის თერაპევტად. ამავე დროს ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას ცხინვალის სამედიცინო სასწავლებელში.

1950 წელს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გამოცხადდა კონკურსი მეცნიერი თანამშრომლის ადგილზე. კონკურსში გამარჯვების შედეგად, ო. ზენაიშვილი ჩაირიცხა აღნიშნულ ინსტიტუტში, სადაც მან თავი გამოიჩინა, როგორც შრომისმოყვარე, უნარიანმა და ნიჭიერმა მკვლევარმა.

1955 წელს, საკანდიდატო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ მუშაობას განაგრძობს ინსტიტუტის ჰელმინთოლოგიურ განყოფილებაში, ხოლო 1961 წელს იგი აკადემიკოს გიორგი მარუაშვილის რეკომენდაციით, ინიშნება ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელად, სადაც მუშაობს დღემდე და წარმატებით ართმევს თავს როგორც პრაქტიკულ, ისე სამეცნიერო მუშაობას. 1971 წელს ბატონი ოთარი იცავს სადოქტორო დისერტაციას.

ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში გამოვლინდა მისი, როგორც კლინიცისტის, საუკეთესო თვისებები – დიდი ერუდიცია, პროფესიონალიზმი, გულისხმიერება ავადმყოფების მიმართ, ამავე დროს დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თანამშრომელთა შორის.

წლების განმავლობაში ბატონი ოთარი მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის კონსულტანტად, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს სამედიცინო პარაზიტოლოგიაში მოწყობილ ციკლზე. საბჭოთა პერიოდში არჩეული იყო საკავშირო ჰელმინთოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილედ.

ბატონი ოთარი გახლავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოსა და ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. იგი ავტორია 190-ზე მეტი სამეცნიერო - პრაქტიკული ნაშრომის, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ სამედიცინო პრესაში; ავტორთა ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა „თერაპიული ცნობარის“ და „საოჯახო ცნობარის“ შედგენასა და გამოცემაში; ერთ-ერთი რედაქტორია ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული შრომათა კრებულების: „ადამიანის ადგილობრივი და შემოტანილი ჰელმინთოზები საქართველოში“ და „ადამიანის პროტოზოოზებით (უმარტივესებით) გამოწვეული დაავადებები საქართველოში“.

თანაავტორებთან ერთად ო. ზენაიშვილის მიერ პირველად საქართველოში აღწერილია ადამიანის ზოგიერთი იშვიათი ჰელმინთოზი: ნაწლავის შისტოზომატოზი, ლოაოზი, პარაგონიმოზი და მონეზიოზი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 9 საკანდიდატო დისერტაცია.

აღსანიშნავია ბატონი ოთარის მოღვაწეობა მალარიის, ლეიშმანიოზის, ექინოკოკოზის, ფასციოლოზის დიაგნოსტიკის, კონსერვატიული მკურნალობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე.

ო. ზენაიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის რეზიდენტთა მომზადების საქმეში. მედიკოს რეზიდენტთა პირველ კონფერენციაზე იგი არჩეულ იქნა მედიკოს რეზიდენტთა საქართველოს ასოციაციის საპატიო წევრად.

2003 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, ოთარ ზენაიშვილს მიენიჭა 2003 წლის საუკეთესო სამედიცინო მუშაკის წოდება და გადაეცა საიუბილეო მედალი.

2003 წელს ცნობილ მეცნიერებთან ერთად, დამფუძნებელია საქართველოს ინფექციონისტთა, ჰემატოლოგთა, პარაზიტოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და მიკრობიოლოგთა ასოციაციის, ხოლო 2006 წ. 13 აპრილიდან არჩეულია ამ ასოციაციის საპატიო წევრად.

წლების განმავლობაში წარმატებული და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

ბატონი ოთარი დღესაც ჩვეული ენთუზიაზმით, მდიდარი გამოცდილებით, პროფესიონალიზმითა და მისთვის დამახასიათებელი გულისხმიერებით ენერგიულად ემსახურება ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საპატიო, კეთილშობილურ საქმეს.

ბედნიერია ბატონი ოთარი, რადგან მისი მოწაფეები სიყვარულითა და მადლიერებით აღნიშნავენ მის საიუბილეო თარიღს და გულწრფელად ულოცავენ მას ამ დღეს, უსურვებენ ჯანმრთელობას, სულის მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს.

**გია ჭუბაბრია,**

**ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი.**

◎ დაფასება

# აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე – დიდების დარბაზის წევრი

**ახლახან აკადემიკოსმა მარიამ ლოთრქიფანიძემ წერილი მიიღო, სადაც ნათქვამია:**

„ღრმად პატივცემულო დოქტორო ლორთქიფანიძე,

ეს არის პერსონალური მოწვევა, რათა თქვენ ამერიკული ბიოგრაფიული ინსტიტუტის (ABI) დიდების დარბაზის (Hall of Fame) გამორჩეულ ადამიანთა შეზღუდულ სიას შეუერთდეთ. იშვიათად თუ ხდება ვინმეს დიდების დარბაზში შეყვანა (ჩარიცხვა). ამერიკული ბიოგრაფიული ინსტიტუტის სახელით, გილოცავთ თქვენ ამ საპატიო პოზიციაზე არჩევას.




ამერიკული ბიოგრაფიული ინსტიტუტის დიდების დარბაზში შეყვანა ხორციელდება ინსტიტუტის მიერ, რომელიც უკვე 42 წლის გლობალური ორგანიზაციაა. ის საყოველთაოდ აღიარებული კომპეტენციით სარგებლობს და ზეგავლენიანი ხალხისადმი ფართო კავშირები გააჩნია, რათა შემდგომში მათი სელექცია მოახდინოს. ეს გამოცდილება დაფუძნებულია 250-ზე მეტ ბიოგრაფიულ გამოცემაში, სადაც აღწერილია სხვადასხვა ქალისა თუ კაცის ღვაწლი, ვისი ამა თუ იმ სფეროში კარიერული მიღწევებიც ლიდერობის ნათელი და სხვათათათვის მისაბაძი მაგალითია.

იმისთვის, რომ დიდების დარბაზის კანდიდატთა სიები დადგენილიყო, ამერიკული ბიოგრაფიული საბჭოს და მრჩეველთა ორგანოს მიერ ჩატარდა 4000-ზე მეტი პროფესიონალის დიდი კვლევა.

გაწეული ღვაწლიდან გამომდინარე, თქვენ იმსახურებთ



იყოთ იმათ შორის, ვისაც დიდების დარბაზის საპატიო ადგილი უკავია.

პატივისცემით გულითადად

**ჯ. მ. ევანსი**

პრეზიდენტი“.

***P. S.* *1997 წ. ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე წლის ადამიანად აირჩიეს, 2000 წელს კი მას საუკუნის გამოჩენილი ქალის წოდება მიენიჭა კემბრიჯის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.***

◎ მუდამ მაძიებელი

***ცნობილ მოქანდაკეს თემურ ჭყონიას, მუდამ ვერცხლისწყალივით მოძრავ, მაძიებელ და დაუდგრომელ შემოქმედს, განგებამ მართლაც მკაცრი გამოცდა მოუწყო: რამდენიმე წელია, საწოლს მიაჯაჭვა... დღეს მისი ციცქნა ოთახის ფანჯრიდან ზეცის ერთი პატარა ნაგლეჯიც მოჩანს. ვაღიაროთ: ბევრისთვის ყოველივე ეს საკმარისი იქნებოდა ბედთან შესარიგებლად და ფარ-ხმალის დასაყრელად. მით უმეტეს, რომ ჭაბუკობის ასაკიც, დიდი ხანია გაფრინდა...***

# „თბილისი ორად იყო გაყოფილი: ღოღოს გალახულებად და ღოღოს გასალახავებად“...

მაგრამ არა! სიცოცხლის დაუოკებელ ჟინთან ერთად მასში კვლავაც ძალუმად ფეთქავს ალმაფრენის ძარღვი: ჭეშმარიტი შემოქმედი ხომ არასდროს ღალატობს ღვთით ბოძებულ მუზას! არც თემურ ჭყონიაა გამონაკლისი – როცა ვითარებათა გამო იძულებული გახდა, მან საჭრეთელი ჩვეულებრივ კალამზე გაცვალა და ამით თითქოს ხელთათმანი ესროლა შეუბრალებელ რეალობას...

თავის დროზე ასე დაიბადა წიგნები „საქანდაკო მასალები“, „ჩემი ქანდაკებების მიღმა“, „იაკობი როდენის ქუჩიდან“ (ხარკი პროფესიას!) და უცებ – სულ სხვა ხედვისა და შინაარსის კრებული „ჩემი ჭყონიები“, რომელსაც არც გულის სითბო აკლია და არც გემოვნებიანი ავტორის ალღო.

და აი, ახლახან მკითხველმა მიიღო თემურ ჭყონიას კიდევ ერთი წიგნი – „ოთხმოცი წლის გადასახედიდან“. ამ არც თუ დიდი მოცულობის ნაკალმარში თავმოყრილია მოგონებები თბილისის ძველ უბნებზე („გასეირნება ფაეტონით“, „ტრამვაი – მავნე სპორტი“, „ნდობადაკარგული ლიფტი“), წეს-ჩვეულებებზე („აჭარული სტუმართმოყვარეობა“, „ნავით პალიასტომზე“), ჩანახატები, ესკიზები, სხარტულები იმ პიროვნებებზე, ვინც ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრება კიდევ უფრო გაულამაზა. ზოგი თუ განგების ნებით მისი სისხლი სისხლთაგანი იყო, ზოგიც ბედმა შეახვედრა და არსებობის შემადგენელ ნაწილად უქცია...

„ოთხმოც წელს გადავაცილე და დღემდე კარგად მახსოვს, რომ ჩემი ჭაბუკობისას წიგნი დიდ საჩუქრად ითვლებოდა... სასოებით ვინახავ მათ... ჩვენ ხომ სიყვარულით შევაბერდით ერთმანეთს“, – წერს ავტორი



წინასიტყვაობაში. ვფიქრობ, იგივე გრძნობა გაუჩნდება ყველას, ვისაც ამ წიგნის ხელში აღების შესაძლებლობა მიეცემა. ეს გახლავთ ცოცხალი მონათხრობი აწ უკვე მარადისობაში გადასულ წინაპრებზე („ოდა დედას“, „ბაბუის დალოცვა“, „ჩემი ბებიები“, „სტუმარი კარს უკან“, „ბიცოლაჩემის ჰონორარი“), ზომიერი იუმორით შეზავებული მოგონებები საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებზე, ვინც თავისი ცხოვრებით ქმნიდა და ამკვიდრებდა საზოგადოებრივ წესსაც და რიგსაც! მარტო მათი ჩამოთვლა რად ღირს: სიმონ ყაუხჩიშვილი, მიხეილ ჭიაურელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, გურამ ასათიანი, ნოდარ მგალობლიშვილი, გუგული მგელაძე, მურმან ლებანიძე, გიგლა ფირცხალავა, ქართლოს კასრაძე, ნიაზ დიასამიძე, შოთა კიკნაძე, ალექსანდრე კუპრაშვილი, გიორგი ჯაში, ვახტანგ ნინუა, დავით ყიფიანი, ელგუჯა ამაშუკელი, გიორგი შენგელაია...

თემურ ჭყონია კი არ იგონებს, არამედ ეფერება ყოველ მათგანს. ზოგი დღესაც ჩვენ გვერდით არის – არეული დროით დაღლდასმული, მაგრამ მაინც ამაყი, ზოგიც გაგვერიდა და „იმ“ სამყაროდან ადევნებს თვალს ჩვენს ვაინაჩრობას... ავტორი, თავისდა სასახელოდ, ასე თ„დრამატულ სიტუაციაშიც“ პოულობს საჭირო ფერებს, რათა განშორების ნაღველთან ერთად სიცოცხლის იმედიც შთაგვბეროს.

„ამონაწერი თინანოს უბის წიგნაკიდან“– ასეა დასათაურებული წიგნის ერთ-ერთი განყოფილება. მაინც, რა შეუტანია თავის უბის წიგნაკში ბატონ თემურის შვილიშვილს თინანო ენდელაძეს? შეურჩევია და ამოუკრეფია ბაბუის სხარტულები! უნდა ვაღიაროთ: არც თუ ტყუილად დამშვრალა! თავად განსაჯეთ, აი, როგორ ენაკვიმატობს პატივცემული ავტორი: „მე სიკვდილის არ მეშინია, სიკვდილს ეშინია ჩემი, სუსტია და არ ჩამაკვდესო“, „ეკზიუპერი ამბობდა, ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართო. მისი არ ვიცი, მე კი ნამდვილად „ზემელიდან“ მოვდივარ“, „თბილისელობაზე ნუ წავა საქმე, თორემ მე შოთა რუსთაველზე ადრე ვიდექი „ზემელზე“, „მოხუცები ყველაზე ადრე ვიღვიძებთ, რადგან გარანტირებული არა ვართ, ხვალ გავიღვიძებთ თუ არა“, „ჩემს ახალგაზრდობაში თბილისი ორად იყო გაყოფილი: ღოღოს გალახულებად და ღოღოს გასალახავებად“, „რასაკვირველია, შვილი უნდა დატოვო ამ ქვეყნად, მაგრამ მაინც და მაინც შენს კათედრაზე არა!“

იცოცხლეთ, ასეთი სხარტულები თემურ ჭყონიას სხვაც ბევრი აქვს, მაგრამ მკითხველს ვურჩევ, თვითონ მოძებნოს ისინი ამ ფრიად საინტერესო წიგნში.

**ოთარ ხუციშვილი**

**ელგუჯა ლებანიძე**

№ 149. სამშაბათი, 28 ივლისი, 2009 წელი.

ოლიმპიური ფესტივალი

# სუომიდან — სამი მედლით




**ფინურ ტამპერეში დამთავრდა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი. საქართველოს სპორტული დელეგაციის ყულაბაში საბოლოოდ მხოლოდ სამი მედალი აღმოჩნდა — 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო, რომლებიც ძიუდოისტებმა დაიმსახურეს.**

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბექა ტუღუშმა იოლად დაამარცხა სერბი, სლოვაკი და ჰოლანდიელი მეტოქეები. ნახევარფინალში ბერძენ გეორგიუს აზოიდისთან (იგი წარმოშობით ქართველია და გიორგი ვაზაგაშვილი ავარჯიშებდა) დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ ფინალში გავიდა, სადაც რუს მაგომედ ახმაროვს დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, შეხვედრა მოჰყვა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ასევე მეორე ადგილზე გავიდა ჩვენი დელეგაციის მედროშე ლევან რუაძე (81 კგ). მეოთხედფინალში მან ესტონელი რუსტამ კერიმხანოვი ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში თურქ ბათუხან ეფემგილის სძლია, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი სლოვაკ არპად ზაკასთან დათმო. 55 კილოში ლუხუმ ჩხვიმიანი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ჩოგბურთი

# ტუნისელის ტრიუმფით

**„კოკა-კოლას“ თასის გათამაშებას ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებმა უმასპინძლა. მთავარი პრიზისთვის 17 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ. მათ შორის იყო 8 ქართველი ჩოგბურთელი, რომლებმაც მეორე წრის გადალახვა ვერ შეძლეს ერთეულთა თანრიგში.**

ნახევარფინალში სერბმა დავით სავიჩმა (რეიტინგი 446) სამ სეტში დაამარცხა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თასის ორგზის მფლობელი იტალიელი მატეო მარაი — 6:4, 3:6, 6:3. ტუნისელმა მალეკ ჯაზირიმ (406) ორ ხელში (6:3, 7:5) ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ უკრაინელს ივან სერგეევს (309) სძლია.

გადამწყვეტ პაექრობაში ჯაზირიმ სავიჩს 2:1 (4:6, 6:4, 6:4) მოუგო და „კოკა-კოლას“ თასი დაისაკუთრა. წყვილთა პაექრობის ფინალში უკრაინელებმა — ივან ანიკანოვმა და არტიომ სმირნოვმა თანამემამულეებს — ალექსანდრ აგაფონოვსა და ივან სერგეევს აჯობეს — 6:3, 3:6 (10:7). საგულისხმოა, რომ აგაფონოვ-სერგეევის დუეტმა მანამდე ნოდარ ითონიშვილისა და ლაზარე კუხალაშვილის (ორივე — საქართველო) ტანდემი დამარცხდა — 7:6, 6:1.

**გიორგი გაგუა**

**სურათებზე: საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი ტურნირის პრიზიორებთან.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**



## მეხუთედ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე



**სტამბოლში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი), რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.** წყვილთა ფინალში ჩვენმა გოგონებმაც იასპარეზეს. მანანა შაფაქიძემ თურქ ჰემრა ოზგანთან ერთად გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო სოფიო ქვაცაბაიას და რუს ავგუსტა ციბიშევას დუეტს — 6:2, 6:2, შაფაქიძის სპორტულ კარიერაში ეს მეხუთე ტიტულია, მათ შორის მესამედ — წყვილებში.

ჭადრაკი

# მეორე ადგილს დასჯერდა

**კვებეკმა (კანადა) მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა.** შვეიცარიული სისტემით გამართულ შეჯიბრებაზე 9 შესაძლებლიდან 6 ქულით საქართველოს ნაკრების წევრმა მერაბ გაგუნაშვილმა (2574) მეორე ადგილი დაიკავა. 6,5 ქულით პირველ ადგილზე ბულგარელი ვლადიმირ გეორგიევი გავიდა. 6 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მესამე ადგილი რუს დიდოსტატ ანტონ კოვალიოვს ხვდა.



ქართული ჭიდაობა

# სადაც ორბელიანების იყო ძველი სამოსახლო



**გასულ უქმეებზე, ლამისყანამ ქსნის ხეობის ფალავნობას უმასპინძლა, რომელიც, ტრადიციულად, ახალგორში იმართებოდა, მაგრამ შარშანდელი ომის შემდეგ იქ შეჯიბრების მოწყობა შეუძლებელია.** ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლესთან ნახერხმოყრილ სარბიელზე მკლავისა და მუხლის ძალა მოსინჯეს ოცამდე ქალაქის, რაიონისა და სოფლის წარმომადგენლებმა, რომელთა ორთაბრძოლებს ასობით გულშემატკივარი ადევნებდა თვალს. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა, ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული ესტატე გოგლიჩიძე, საქართველოს ორგზის ფალავანი ოთარ ყურაშვილი და სხვები.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ქართულ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**50 კგ.** 1. გიორგი ჯარმელიშვილი, 2. მიხეილ იმერლიშვილი (ორივე — ლამისყანა), 3. ზურაბ თათრიშვილი (წილკანი).

**60 კგ.** 1. ტრისტან ფეიქრიშვილი (ხანდაკი), 2. ალექსანდრე გაროზაშვილი, 3. იასონ თათარაშვილი (ორივე — ოკამი).



**70 კგ.** 1. გიორგი მახარაშვილი (ქსოვრისი), 2. დევი ოსიაშვილი (ლამისყანა), 3. ლევან გიგაური (გორი).

**80 კგ.** 1. იოსებ ჩილინდრიშვილი (გორი), 2. კახა მამულაშვილი (მეტეხი), 3. გიორგი ბიჩელაშვილი (თიანეთი).

**აბსოლუტური:** 1. გოჩა გოგიაშვილი (ლამისყანა), 2. კახა მამულაშვილი (მეტეხი), 3. ჯუმბერ გიგაური (გორი).

**გუნდური:** 1. ლამისყანა, 2. მეტეხი, 3. გორი. სპეციალური პრიზები ხვდათ ტრისტან ფეიქრიშვილსა და კახა მამულაშვილს. აბსოლუტურ წონაში გამარჯვებული გოჩა გოგიაშვილი ცოცხალი ჭედილათი დააჯილდოვეს.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ჭიდაობის მომენტი; გოჩა გოგიაშვილი ცოცხალი ჭედილათი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ინტერნეტიდან

## რეკორდების წვიმა რომში

**სწორედ ასეა იტალიის დედაქალაქში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე საწყლოსნო სპორტის სახეობებში.**

ჯერ კიდევ ნახევარფინალების გათამაშების დროს მსოფლიოს რეკორდი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვისას დაამყარა შვედმა სარა შოსტრომ — 56,44, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მიუწვდომელი იყო ამერიკელი არიანა კუკორსი — 2.07.03 (მსოფლიო რეკორდი).

ფინალურ გაცურვებში 400 მეტრზე თავისუფალი სტილით მსოფლიო რეკორდსმენი გახდა გერმანელი ბილდერმანი — 3.40.07. ასევე მსოფლიო რეკორდით აღინიშნა იტალიელ პელეგრინის ასპარეზობა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — 3.59.15.

მსოფლიო რეკორდით დასრულდა 4X100-ზე ესტაფეტა თავისუფალი სტილით, აქ ჰოლანდიის ნაკრებმა იპირველა. ესტაფეტის პირველ ეტაპზე გერმანელმა ბრიტა შტეფანმა აქ დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 52.22.



ამავე დროს დამყარდა ბევრი ეროვნული რეკორდიც.

## ჰუნგარორინგის პერიპეტიები

**წინა დღესვე გაირკვა, რომ ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მეათე ეტაპი სკანდალურ სიტუაციებს ვერ გადაურჩებოდა. შაბათს, კვალიფიკაციაზე „ბრაუნის“ პილოტის რუბენს ბარიკელოს მანქანიდან ატყორცნილმა ზამბარამ კინაღამ იმსხვერპლა „ფერარის“ ბრაზილიელი მრბოლი ფელიპე მასა.** „ყუმბარამ“ მას მუზარადი შეუნგრია და საფეთქელში მოხვდა. გრძნობადაკარგული შვეულმფრენით სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანილი ფელიპე ხელოვნურ კომაშია. საბედნიეროდ, თავის ტვინი დაზიანებული არ ყოფილა.

ძირითად რბოლში კი ესპანელი ალონსოს მანქანას ისე ცუდად მიუხრახნეს წინა ბორბალი, რომ მალე ის მანქანას მოწყდა და, საბედნიეროდ, არავინ იმსხვერპლა.




ფინიშთან პირველი მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი, „მაკლარენის“ პილოტი ლიუს ჰამილტონი მივიდა, მეორე კი „ფერარის“ ფინელი მრბოლი, 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონი კიმი რაიკონენი იყო. ათი ეტაპის შემდეგ ლიდერობს ბატონი („ბრაუნი“).

კონსტრუქტორთა თასზე კი პირველ სამეულში არიან „ბრაუნი“, „რედ ბოლი“ და „ფერარი“.

## ფეხბურთელების სატრფო მსახიობობას აპირებს

**საფეხბურთო დუეტის დუაიტ იორკისა და ტედი შერინგემის ყოფილი „დაქალი“ — ბრიტანელი მოდელი, ტელეწამყვანი, მწერალი და დიზაინერი კეტი პრაისი ფიქრობს თავის გამოცდას მსახიობობაშიც. ლამაზმანი ახლახან იყო ლოს-ანჯელესში, სადაც გაიარა კასტინგი როლისთვის ფილმში „სექსი დიდ ქალაქში“.**

31 წლის პრაისი სერიოზულადაა მონადინებული თავისი სამსახიობო საქმის დასახვეწად. მას ხომ ახალი ფილმის სერიალებში კერისთან, სამანტასთან, მირანდასა და შარლოტასთან ერთად თამაში მოუწევს.



მას სცენარი უკვე გადასცეს და თავი უკვე მომავალი გმირის როლში იგრძნო.

„მათ სჭირდებათ დიდმკერდიანი მომხიბვლელი ინგლისელი ქალიშვილი, მე ხომ უკვე მყავს ჩემი აუდიტორია! — ამბობს კეტი.

## კალცლექსები

### წერილი პარლამენტს

აი, ახლა, ამ სიცხეში,
სწორედ ახლა, ივლისში,
მე მინდა, რომ ქუთაისი
გადმოვიდეს თბილისში.

ამის შემდეგ მოფერებით,
სიყვარულით, თილისმით,
ჩემ საყვარელ ქუთაისში
გადაბრძანდეს თბილისი.

თელავს ზუგდიდს
დავარქმევდი,
სიღნაღს კიდევ ბათუმსა,
და მთელ სომხეთს
ძალისძალით
შევასწავლი ქართულსა.

ჰოდა, სანამ ყველას ტვინში
მავნე ქარი არა ქრის,
ერევანი უნდა გახდეს,
ჩვენი დედაქალაქი.

### მიშა და კრწანისი

მიშა სტუმრობს არა მარტო
აჭარას და კახეთს,
აღმოსავლეთს,
დასავლეთს და
ჩრდილოეთს თუ სამხრეთს...
მიშა არის დედამიწის
მოგზაურთა სახე,
მას ველარსად ვერ იპოვით,
რომც დაუგოთ მახე,
– შევარდნაძე კრწანისშია,
მიბრძანდით და ნახეთ!

ჯ. ჩ.

ივლისი, თბილისი.

შპს „კლინიკა ნიუმედის“ ადმინისტრაცია იუწყება, რომ პარტნიორთა, 20.07.2009 წ. კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება შპს „კლინიკა ნიუმედის“ (ს/№206334162ძ რეორგანიზაცია. კერძოდ საზოგადოებას გამოეყოფა შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრი“. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: ქ. თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის I კვ. კორპ. 1, ბ. 45, ტელ: 728949.

სს „გრდემლის“ ადმინისტრაცია აცხადებს რომ მიმდინარეობს საზოგადოების რეორგანიზაცია 29.06.2009, წლის აქციონერთა კრების გადაწყვეტილების მიხედვით. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქ. რუსთავი მაზნიაშვილის ქ. №4.

სს „გრდემლის“ ადმინისტრაცია

## „მწერალი“ პრეზიდენტი

# „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი დაუწერია!

**წიგნს ჰქვია „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის“ და მისი ავტორია საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი. როგორც სათაური გვეუბნება, საქართველოსთვის ძველადაც ყოფილა ბრძოლები, მაგრამ როცა საქართველოს ბატონი მიხეილ სააკაშვილი მოევლინა, ეს ბრძოლა უკვე გადამწყვეტი გახდა.**

წიგნის შესავალში რედაქტორი ბატონი დავით ზურაბაშვილი წერს: „ქართველ პოლიტიკოსებს წერა არ უყვართ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა. მიხეილ სააკაშვილი ქართველ პოლიტიკოსთა შორის იმ მცირეოდენ გამონაკლისს მიეკუთვნება, რომელიც არა მარტო ლაპარაკობს, არამედ წერს კიდევაც“.

რას წერდა დღევანდელი პრეზიდენტი და რა მიზნით? ამის შესახებ გვსურს მკითხველს მოვახსენოთ.

წერილში „ოთხმოცი წლის შემდეგ: საქართველო და დასავლეთი“ ბატონი მიხეილი წერს: „დღევანდელი ვითარება გარკვეულწილად წააგავს იმ სიტუაციას, რომელიც საქართველოში იყო ოთხმოცი წლის წინათ, 1921 წელს, ჩვენი შინაგანი სისუსტის გამო რუსეთს არ გასჭირვებია საქართველოს დაპყრობა“: „XX საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო ძალთა გადანაწილება არსებითად განსხვავებულია. დღეს რუსეთი არა მხოლოდ აღარ არის ზესახელმწიფო თავისი ეკონომიკური ან სამხედრო მონაცემებით (რუსეთის მთლიანი ეროვნული პროდუქტი ბელგიაზე უფრო მცირეა, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით მისი კრიზისი ჩეჩნეთის კამპანიამაც კარგად წარმოაჩინაძ, არამედ რუსეთი პოლიტიკურადაც აღარ აღიქმება ზესახელმწიფოდ, მათ შორის ოდესღაც მთავარი კონკურენტის, აშშ-ის მიერ. პირადად მე ამაში დამარწმუნა არა მხოლოდ ჩემმა შეხვედრებმა და საუბრებმა კონგრესში, თეთრ სახლში და სახელმწიფო დეპარტამენტში, არამედ ოფიციალური ვაშინგტონის ახალმა მიდგომებმაც“.

**გაიგეთ რამე?, არის აქ ლოგიკა?**

ე. ი. 1921 წელს თუ ჩვენი ქვეყნის სისუსტის გამო რუსეთს არ გასჭირვებია ჩვენი დაპყრობა, XXI საუკუნეში რუსეთი უკვე აღარ აღიქმება ზესახელმწიფოდ აშშ-ის მიერ. ბატონ მიხეილს პირადად უსაუბრია კონგრესში და სხვაგან, გასცნობია ვაშინგტონის ახალ მიდგომებს.

სტალინს რომ წაეკითხა თავის დროზე ასეთი წინადადებების წყობა, აუცილებლად იტყოდა: **„აი, უწიგნური კაცი, ერთი გაბედე და საყვედური უთხარი, თავს გაიმართლებს თავისი მუშურ-გლეხური წარმოშობით“.**

**ბატონი მიხეილი ნამდვილად არ არის მუშურ-გლეხური წარმოშობის, მაგრამ მათზე უფრო უწიგნურად წერს.**

„დღეს საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ამერიკის ფინანსური დახმარებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა“. „თუ როგორ ხდებოდა ამ დახმარებების მოპოვება ამის ნათელი მაგალითია საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ერთკვირიანი შეხვედრები ამერიკის კონგრესში 1997 წელს, მაშინ ჩვენ დავდიოდით ერთი კაბინეტიდან მეორეში, ზურაბ ჟვანიას დაჭკნობილი და დასაკეცი რუკა, რომელსაც ყოველ ჯერზე ხელახლა შლიდა და უხსნიდა თანამოსაუბრეებს, თუ სად მდებარეობს საქართველო, რა არის ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა და ა. შ.“

აქ ლოგიკა ნამდვილად არის. – უხსნიდნენ სად მდებარეობს საქართველო, რა არის ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა და აშშ-სგან მოიპოვებდნენ „დახმარებებს“, ე. ი. იყიდებოდა ჩვენი ქვეყნის გეო-პოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობა! მომდევნო წლებში ბატონი სააკაშვილი იტყვის, რომ იგი აღფრთოვანებულია ამერიკელთა ფასეულობებით, რაც მტკნარი სიცრუეა. როგორც უწერია, შავით თეთრზე, ამერიკელები გვეხმარებიან ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობისთვის და არა ადამიანთა უფლებების დაცვისთვის, ან ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის და სხვა მიზნისთვის.

წერილში „სასამართლო რეფორმა, როგორც ქართული რევოლუციის სარკე“ ბატონი მიხეილი წერს: „მთავარი პრინციპი იყო ის, რომ ჩვენ უარი ვთქვით ახალი სასამართლოს ნომენკლატურული მეთოდით კულუარულად დაკომპლექტებაზე, ამის სანაცვლოდ ჩვენ წავედით გართულებული გამოცდების გზით“.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ „გართულებული გამოცდების გავლის“ შემდეგ მოსამართლენი მაინც კულუარული დაკომპლექტების გზით ინიშნებიან, ხოლო თუ სურთ სასამართლო იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური, აქ ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო, მოსამართლეებს უნდა ირჩევდეს ხალხი.

ჩანართში „მტერი №1, ანუ რატომ ებრძვიან ზურაბ ჟვანიას“, ავტორი ზურაბ ჟვანიაზე წერს ისეთ სისაძაგლეს, რომელიც არსად არ დაბეჭდილა. ის რაც არ უკადრებიათ თვით ზურაბ ჟვანიას მტრებს, იკადრა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა.

ბატონმა მიხეილმა დაივიწყა ის ცნობილი დაპირისპირება, რომელიც მოხდა ბატონ ედუარდ შევარდნაძესა და ბატონ ზურაბ ჟვანიას შორის: მაშინდელი პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ აუცილებლად აშენებულიყო ხუდონჰესი, ჩვენ ასეთი მდგომარეობა ელექტროენერგიით მომარაგებაში არ გვექნებოდაო, ბატონი ზურაბი პასუხობდა – სად წავიდა ის მილიონები, რომლებიც ენერგეტიკისათვის შემოვიდაო!

ჩვენ დღემდე გვიკვირს ფაქტების დამთხვევა, როცა ბატონმა ზურაბმა მოუხშირა რუსეთში ვიზიტებს და განცხადებებს (როგორი ინტერესებიც ჩვენ გაგვაჩნია რუსეთში, ისეთივე ინტერესები რუსეთს გააჩნია საქართველოშიოძ, მაინცდამაინც მაშინ დაატყდა თავს მას ცნობილი უბედურება.

წერილში „ჩვენი არჩევანი“, ბატონი პრეზიდენტი წერდა „მე საშუალება მქონდა არაერთხელ შევხვედროდი ჯორჯ სოროსს. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული ოლიგარქია არც ისე მდიდარია და იგი ვერ მოახერხებს მიმდინარე პროცესებზე კონტროლის განხორციელებას, მაგრამ ეს დაწყნარების დროს არ გვიტოვებს, არსებობს რეალური საფრთხე, ჩვენი პრივატიზაციის რუსული სცენარით ჩატარებისა“.

მაინც, როგორი სცენარით ჩატარდა რუსეთში პრივატიზაცია?

იქნებ, ჩვენი და სხვა ქვეყნების მოქალაქენი ფლობენ რუსეთში საწარმოს დანიშნულების ობიექტებს და არა პირიქით?

ეხება რა ხელისუფლებას, ბატონი მიხეილი წერს: „პირველ რიგში განსახორციელებელია შიდა სტრუქტურული რეფორმები. ჩვენთან პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი პარალიზებულია მთავრობის სხდომაზე. ამ შეკრებაზე, რომელსაც ყოველთვის ესწრება ასზე მეტი ადამიანი, ყველას აქვს გამოსვლის უფლება და ეს ყველაფერი კიდევ ტრანსლირდება ჟურნალისტებისთვის, სერიოზული გადაწყვეტილებები ვერ მიიღება“.

რატომ ვერ მიიღებოდა „სერიოზული გადაწყვეტილებები“? საჯაროობა უშლიდათ ხელს? იქნებ იმიტომ, რომ ყოველი მათგანი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვის და საჭიროება მათ ხელს არ აძლევთ?

როგორც ვხედავთ, მომავალი ავტორიტარი თუ დიქტატორი არც მალავდა, თუ როგორი მეთოდებით და ფორმებით სურდა მომავალში ემართა ქვეყანა.

**წიგნში შესულია სტეფან კინზერის წერილი „თანამედროვე საქართველოს დამფუძნებელი მამები“, სადაც წერია: „პარლამენტში, თავის კაბინეტში სადაც ქართულ დროშასთან ერთად ჰკიდია 1890 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, სააკაშვილი ცხადად აცნობიერებს თავის როლს, როგორც თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა“.**

**კომენტარი თქვენთვის მიმინდვია, პატივცემულო მკითხველო (თუ გული აგერიათ, შევწყვიტოთ ციტირებაძ.**

წიგნის სათაურში გატარებულია მეორე აზრიც: გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის ე. ი. საქართველოს დაუფლებისთვის, საქართველოს დასაკუთრებისთვის. 2001 წელს გამოცემული ეს წიგნი თუ ამ მიზანს ემსახურებოდა, ჩვენ არანაირი პრეტენზიები ბატონ მიხეილის მიმართ არ უნდა გვქონდეს. უფრო მეტიც, ბატონი დავით ზურაბაშვილი ცდება, როცა ამბობს: „მკითხველი ისურვებდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავის პრაქტიკულ საქმიანობაშიც განახორციელოს ყველაფერი ის, რაზედაც აქ წერს“.

განახორციელა და მერე როგორ...

**საინტერესოა, თუ წაიკითხეს ეს წიგნი ჩვენმა პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა, დოქტორებმა, რომელთა რაოდენობითაც 100 კაცზე მსოფლიოში ალბათ პირველ ადგილზე ვართ!**

**წაიკითხეს თუ არ წაიკითხეს, ფაქტია, ბატონი სააკაშვილი ტრიუმფალური ნაბიჯებით მიიყვანეს ხელისუფლებაში და დიქტატორად დასვეს, ამიტომაც ის, რაც მოხდა და რაც მომავალში მოხდება, ერთი კაცის „დამსახურებად“ ნამდვილად ვერ ჩაითვლება!**

**ნუგზარ კობახიძე**

# ქ. თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება №8-22

17. ივლისი. 2009 წ.
27.07.2009წ.
010.260.030.36.101.013.325

### „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის 1-1 გადაწყვეტილებაში დამატებების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის 1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

აძ მე-3 მუხლს დაემატოს “პ“ ქვეპუნქტი:

“პძ ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური.“

ბძ $12^1$ მუხლს დაემატოს 21-ე პუნქტი:

„21. ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი.“

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ზაალ სამადაშვილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ ქუთაისის ტელეკომპანია „რიონის“ ჟურნალისტები
ნინო გიგაშვილი,
გიორგი მგალობლიშვილი,
ჯონი კუბლაშვილი,
დავით ავალიანი
და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

---

ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი მწუხარებით იუწყება ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორ
სოსო მახარაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ლუიზა ირემაშვილი, შვილები მაია, ნინო, ქეთინო, სიძეები ბესო თვალიაშვილი, ლევან ნაცვლიშვილი, ჯემალ დონაძე, შვილიშვილები ანა, ანდრო, დათო, ლევანი, ირაკლი, ძმისწულები ანდრო, დათო, მძახლები ირინა ბოჭორიშვილი, ოთარ დონაძე, ნინო თაგაური, ცოლისძმა ირაკლი, ცოლისდა მანანა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თენგიზ ანდროს ძე ჭიაბრიშვილი
პანაშვიდი 28, 29 VII, 18 სთ. დაკრძალვა 30 VII, 14 სთ.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, სოხუმის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი წევრი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, აფხაზეთიდან დევნილი
გენადი (გენოძ ზარია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაიჯესტი

## ნასწავლი ცოლი – მტკიცე ოჯახი



**განათლებული ცოლი ოჯახური ბედნიერების ბურჯია, – გვარწმუნებენ ავსტრალიელი მეცნიერები ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტიდან.** მათი მტკიცებით, დღეს ქალები უმაღლესი განათლების გარეშე გაცილებით უფრო ხშირად ანგრევენ ოჯახს, ვიდრე „დიპლომირებული“ ცოლები. თუმცა დაახლოებით 40 წლის წინათ საწინააღმდეგო სიტუაცია იყო – გაყრას მოითხოვდნენ უმაღლესგანათლებიანი ქალები.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ბოლო ათწლეულებში განათლებულ ქალბატონებში ფასეულობათა გადაფასება მოხდა!

## როცა ძალიან ცხელა



**რათა თქვენმა ორგანიზმმა ადვილად გადაიტანოს დიდი სიცხე, ეცადეთ, რამდენადმე მოაწესრიგოთ თქვენი რაციონი.**

● შეძლებისდაგვარად უარი ვთქვით მსუქან და შემწვარ პროდუქტებზე.

●უპირატესობა მიანიჭეთ ბოსტნეულსა და ხილს.

●სალათებში გამოიყენეთ ზეითუნის ზეთი. მასშია E ვიტამინი, რომელიც ორგანიზმს იცავს გარემოს არაკეთილსასურველი გავლენისგან (მათ შორის მავნე ნივთიერებებისაგან, გამონაბოლქვი გაზები რომ შეიცავსძ.

●სვით მეტი სითხე. თუკი ჰაერის ტემპერატურა 25 გრადუსს გადასცილდა, გირჩევთ, ყოველ ნახევარ საათში დილით ერთი ჭიქა წყალი. უპირატესობა მიანიჭეთ მინერალურ ან ლიმონის წვენით ოდნავ შემჟავებულ სუფთა წყალს. ყავასა და სხვა სასმელებზე, კოფეინს რომ შეიცავს (კოკა, პეპსიძ, სჯობს, უარი თქვათ. კოფეინი თქვენს გულს აიძულებს უფრო სწრაფ მუშაობას, არადა, მაღალ ტემპერატურაზე თქვენი „მოტორი“ ისედაც სერიოზულადაა დატვირთული.

●უარი თქვით ალკოჰოლზე, რა გინდ მაცდურად არ უნდა გამოიყურებოდეს კათხა ცივი ლუდი, გახსოვდეთ, რომ ალკოჰოლური სასმელები გაუწყლოებას იწვევს.

## თუ წნევა გაწუხებთ

**ექიმმა წნევის დასაწევი რომ გამოგიწერათ, ალბათ, გაგაფრთხილათ კიდევაც ამ დაავადებასთან ბრძოლის ზოგიერთ წესზეც. ზოგიერთ უმთავრესს მაინც შეგახსენებთ:**



1ძ. არ შეიძლება წნევის ძალზე სწრაფად, მოკლე დროში დაწევა. გაცილებით უსაფრთხოა, თუ ამას გააკეთებთ 2-3 ეტაპად, რამდენიმე თვის განმავლობაში, რათა ორგანიზმი მიაჩვიოთ ახალ სისხლის წნევას. მისმა მკვეთრმა დაწევამ, შეიძლება, გამოიწვიოს გულის, ტვინის ან სხვა ორგანოს იშემია.

2ძ. გაუმჯობესებას რომ იგრძნობთ, არავითარ შემთხვევაში არ შეწყვიტოთ პრეპარატების მიღება. ჰიპერტონიული დაავადება ქრონიკული სენია. ის ორგანიზმში რჩება. ექიმის დანიშნული პრეპარატები ზოგჯერ სულ უნდა სვათ.

3ძ. წამლების დოზის დამოუკიდებლად შემცირება სახიფათოა. ეს ექიმმა უნდა გადაწყვიტოს.

4ძ. ავადმყოფმა უნდა იცოდეს არტერიული წნევის გამომწვევი ფაქტორები (მეტეოროლოგიური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და ა. შ.ძ და შეეძლოს მათ მიხედვით პრეპარატების რეგულირება.

5ძ. აუცილებელი როდია, კარგმა ჰიპოტენიზურმა პრეპარატმა სწრაფი ეფექტი გამოიღოს.

## მაძღარი საუზმე – „წელის მტერი“

**წელის გასქელების მთავარი მტერი მაძღარი საუზმეა – ამტკიცებენ ჰონკონგელი სპეციალისტები. თავიანთ პარადოქსულ თვალსაზრისს ისინი ასე ხსნიან: სწორედ დილის საათებში გლუკოზის დაბალი შემცველობით ხდება ცხიმის ფენების მაქსიმალური დაგროვება.**

ჩინელი მეცნიერები კი გვირჩევენ, ვისაუზმოთ ცხიმგამოცლილი რძით, ან ფანტელის („სლიპია“ძ მსუბუქი ფაფებით,



მოხალისეები, რომლებიც რამდენიმე თვის მანძილზე მსუბუქი საუზმით იკვებებოდნენ, გახდნენ საშუალოდ 7 კილოგრამით, წელის მოცულობა კი 10 სანტიმეტრით შეუმცირდათ.

## მიზანია კოსმოსი



**ჩრდილოეთ კორეამ კოსმოსში რაკეტა-მატარებელი გაუშვა.** ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე კოსმოდრომიდან გაშვებულმა რაკეტამ ორბიტაზე გაიყვანა ამერიკული სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი, რაც მათ აზიელმა მოკავშირეებმა საკონტინენტშორისო ბალისტიკური რაკეტის შენიღბულ გამოცდად“ მიიჩნიეს. საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამ მოვლენას პროვოკაცია უწოდა.

## შენი შესაძლებლობები, ადამიანო!

**XVIII საუკუნის ინგლისში, სადაც დამნაშავეობის დონე ძალიან მაღალი იყო, გადატვირთული ციხეების განტვირთვის მწვავე აუცილებლობა წარმოიშვა. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს პატიმართა ნაწილის კოლონიაში, ახლად აღმოჩენილ შორეულ კონტინენტზე, ავსტრალიაში გადასახლება.**

როგორც იმდროინდელი ჟამთაალმ-



წერები აღნიშნავენ, კატორღელთა ყოფა და ცხოვრება სრულიად აუტანელი იყო. თუკი მუშაობისას (არ დაგავიწყდეთ, ბატონო, კატორღული მუშაობისას!ძ კაცს თუ რატომღაც გაეღიმებოდა, ანდა, უბრალოდ, თავს აწევდა, მას 35 ან სულაც 100 მათრახის დარტყმას უსჯიდნენ. იყო შემთხვევები, როცა დამნაშავეებს მათრახს 300-ჯერაც არტყამდნენ, ზოგჯერ კი გამათრახებისას სიცოცხლესაც გამოასალმებდნენ.

ერთი კია: თუკი ვინმე თქვენგანი, პატივცემულო მკითხველო, ავსტრალიაში ნამყოფია, თავად მიხვდებოდით, თუ რა შეძლებია თუნდაც დამნაშავე ადამიანს!

## ბიუროკრატიის დახლართული გზები

**რომელი უწყება უნდა კურირებდეს ჯადოსნობას? ამ კითხვამ რამდენიმე წლის წინათ ცხარე კამათი გამოიწვია გერმანიის ჰესენის მიწის ლანდტაგში. საქმე ის არის, რომ გერმანიის ზოგიერთ რელიგიურ ჯგუფში ჯადოსნობა დიდად პოპულარულია.** ჰოდა,



ვინაიდან ისინი მიწების სასამართლოში რეგისტრირებულნი არიან, წამოაყენეს წინადადება, რომ ჯადოსნობის საქმეებს იუსტიციის სამინისტრო განაგებდეს. ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეები კი ცდილობდნენ ამ საქმეების კურატორობა სურსათის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროსთვის დაეკისრებინათ, ამ თვალსაზრისის განსამტკიცებლად ის არგუმენტი მოჰყავდათ, რომ გრძნეულები, ჩვეულებრივ... ტყეებში ბინადრობენ.

თუმცა გამარჯვება მაინც მესამე თვალსაზრისის გამზიარებლებს დარჩათ. ამჟამად ჯადოსნობა... ფრენების უშიშროების ფედერალური სამმართველოს გამგებლობაშია.

## არმაგედონი კარსაა მომდგარი?

**გლობალური დათბობის შედეგად ატლანტიკის ოკეანეში, კარიბის ზღვასა და მექსიკის ყურეში წარმოშობილი ქარიშხლების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება, სამაგიეროდ საგრძნობლად გაიზრდება მათი ძალა და ნალექების რაოდენობა. ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ტიმ კნუტსონმა განაცხადა, რომ ვიდრე ამ დასკვნამდე მივიდოდნენ, მათ მოყოლებული 1980 წლიდან დღემდე ქარიშხლების შესახებ არსებული მთელი ინფორმაცია შეისწავლეს. უმთავრეს მახასიათებლად, ატლანტიკის ოკეანეში ტემპერატურის ცვლილება დაასახელეს.**

ცნობილია, რომ ყოველწლიურად ატლანტიკაში დაახლოებით ათი ძლიერი შტორმი წარმოიშვება, რომელთაგან ნახევარზე მეტი შემდგომ ქარიშხლად ყალიბდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საუკუნის დამლევისთვის ქარიშხლების რაოდენობა დაახ-



ლოებით ერთი მეხუთედით შემცირდება, სამაგიეროდ ქარის ძალა ორი პროცენტით გაიზრდება, ხოლო ნალექების რაოდენობა თითქმის 40 პროცენტით მოიმატებს, რაც საშინელ წყალდიდობებს გამოიწვევს.

**უცხოური პრესის მიხედვით**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

**ლუვრში მიუსვლელად გსურთ დატკბეთ მონა ლიზას იდუმალი ღიმილით? ჰკითხეთ ცოლს, რაში დახარჯა თქვენი ხელფასი.**

* * *

**ბებიაჩემი სპორტული სიარულით დაინტერესდა 60 წლის ასაკში. ახლა ის 97 წლისაა და აზრზე არა ვართ, სად არის ამჟამად...**

* * *

**ქალი დგას ფანჯარასთან და ელოდება ქმარს, რომელიც სამსახურიდან უნდა დაბრუნებულიყო. იგი, ლოდინით დაძაბულცული, ბოლოს დაძალს ეუბნება – ალბათ, საყვარელი გაიჩინა.**



**– ყოველთვის ყველაზე ცუდზე რად უნდა იფიქრო, – გამოეხმაურა დაქალი, – ხომ შეიძლება, რომ უბრალოდ ავარიაში მოხვდა?**

* * *

**უფასო არის მედიცინა, მაგრამ არა მკურნალობა.**

* * *

**ჯანმრთელობა – ეს არის ეპიზოდი ორ ავადმყოფობას შორის.**

* * *

**მედიცინის წარმატებები აშკარაა: ახლა ადამიანები უამრავი ავადმყოფობისგან კი არ იღუპებიან, არამედ მხოლოდ იტანჯებიან.**

* * *

**თევზს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ბოლო გააქნია უცენზურად...**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.